

იოსებ ომაძე

ლექსი – ურა კვიცი

ლექსები

თბილისი, 2012 წ.

ISBN 978-9941-0-4938-5

Copyright: იოსებ ომაძე, 2012 წ.

სარჩევი

წინათქმა 9

ლექსები (1964-2012 წწ.).

პაემანი ალვის ხესთან	13
* * * ნეტავ ერთი ლექსი დამაწერინა	14
* * * როს გავიფიქრებ შენზე უეცრად	15
მოსუცი	16
ნოემბრის ღამე	17
დროის ბაწარი	18
მთვარე გალობს...	19
ჩიტი და ფრთიანი ლექსი	20
ორი წამიერება	21
* * * დღე ისედაც მძიმე იყო	22
* * * ცხოვრების მორევის...	23
ღამის ლექსი	24
მე ვარ ხომალდი	26
დრო მიდის...	27
ლექსი – ურა კვიცი (I)	28
ლექსი – ურა კვიცი (II)	31
ჭირვეული მუზა	33
პესიმისტური ლექსი	35
ძეგლი	36
რამდენი...	37
დილა, შუადღე, საღამო, ღამე...	38
დედამიწა – მრგვალი ქანდაკება	38
ალიონი	40
შეცქერი ცას	41
საქართველო	42
ჩიტი	45
* * * ქარიშხლიანი ღამე ღმუის	46
სადღეგრძელო	47
ჰყივის განთიადი	48
თეთრი მელას ბოლო სიმღერა	49
წუთისოფლის გამოცანა	50
ლექსი – ღამე მოფრენილი ჩიტი	51
თუ ხარ პოეტი	52
ახალი ყვარყვარე	53
სინანული	54
ყველა ქალი – მშენიერია!	57
ლიახვი	58
განცდა	59
* * * მტკვარი ქებული	60
გაზაფხული	61
* * * მე რომ გოგო მყავდეს	62
ბახის მოსმენისას	63
ძველებური სატრფიალო	64
რუსული სიმღერა	65
* * * ქალაქის ქუჩაში	66
* * * სიბერეში ხშირად მახსენდება დედა...	67
თოვლა...	68
მთვარე და მტკვარი	69
* * * სადაური მე ვარ პოეტი?	70

ველი...	71
* * * ლურჯმა ღამემ გამოფინა	72
პოეტი მთვარიან ღამეს	73
ივლისის ღამე	74
პოეზია და მათემატიკა	75
მესიზმრება... ..	76
მარადი თემები	77
რაჭაში	78
ღვინობისთვის ღამე	79
ანანური	79
ბანალური ლექსი	80

ლექსები რომანიდან
“ია ანუ ერთგულება” (2002 წ.)

მე	82
მწუხრი	84
რას მეთამაშები, ვარსკვლავო?	85
უძილობისას	87
მშიერი ღამე	88
პესიმისტური	88
ღალატი – ღალატია ყოველთვის!	89
ცხოვრების ცხარე ცხენი	90
მარტი	91
წვიმა-მაწანწალა	92
აღვა	93
მოწყენილი ქურა	93
ორღობის სასწაული	94
ცეცხლთან	94
ლექსის ლექსი	95
გამარჯობა, მზეო!	96

ლექსები მოთხრობათა კრებულიდან
“ვემშიდობები XX საუკუნეს” (2005 წ.)

კარუსელი.....	103
წელიწადის დრონი	104
ტაკიმასხარა	105
ნიკოლოზ ბარათაშვილი	107
ანარეკლი	108
მიკვირს... ..	110
საზამთროს გამყიდველის სიმღერა	110
ირონიული საუბარი საკუთარ თავთან	111
წვიმის სიმღერა	112
წუთისოფლის წისქვილის დოლაბი	114

ლექსები რომანიდან “ჭადარდი” (2006 წ.)

ქარი	115
ვყიდი დღეს!	116
ხელი	118
ბუნხართან	118
* * * ზამთარო, თეთრო ყვავილო	119
დღეთა ნადირობა ადამიანზე	119
წუთისოფელი	122

ლექსები რომანიდან “ნიკო ფიროსმანაშვილი”
(2003 წ.)

ჩანახატიდან “ფიროსმანის მონატრება”	123
* * * ქარო, ნუ ქრი	124

შაირები რომანიდან “გულადი მაწანწალა”
(1995 წ.)ლლ.....

125

ლექსები ზღაპრებიდან	
ზღაპრიდან “ბედნიერი ფამფალეთი” (1972 წ.) ..	129
“იტალიური ზღაპრიდან” (1999 წ.)	139
“ღუმელის ზღაპრიდან” (1998 წ.)	142
“ცისარტყელას ზღაპრიდან” (2000 წ.)	143
“მხიარული ნეკას ზღაპრიდან” (1998 წ.)	143

წინათქმა

ჩემს რომანში “ვირუკაზე უკუღმა შავჯექ, მაშა!” ერთ ადგილას ვამბობ: “საზოგადოდ, ლექსები საკმაოდ მაქვს დაწერილი, მაგრამ არასდროს გამჩენია სურვილი, რომ ყოველდღიური ძალიანმევა გამომჩინა, რაც აუცილებელია პროფესიონალი პოეტის ჩამოსაყალიბებლად... უფრო სწორედ, პოეტის დაბადება და შემდეგ ყოველი ლექსის შობაც თავისთავად, ბუნებრივად უნდა მოხდეს, ძალდატანებით აქ ვერაფერს გახდები; მაგრამ ჩემთვის ისიც უცილობელია, რომ მეღექსეობისადმი განწყობა ერთი წუთითაც არ უნდა ტოვებდეს ჭეშმარიტ პოეტს. მე ამას ვერ შევძლებდი – პოეტი ვერ გავხდებოდი, რადგან, ჩემი შეხედულებით, ვინც ლექსს წერს, თუ ის მართლად პოეტად არის დაბადებული, დაუფარავად აშიშვლებს საკუთარ სულს, – საკუთარ ფიქრებს, აღტაცებას, სიხარულს, შიშს, ძრწოლას, – ყველაფერს იმდენად გულწრფელად გადმოსცემს, რომ ზოგჯერ ტკივილამდე მისულ თვითგვემამდე მიდის... მე კი პიროვნულად იმდენად მორიდებული ვარ, იმდენად შინაგანად ჩაკეტილი, რომ ამგვანი ყაიდის ადამიანი ლირიკოსი პოეტი ვერ იქნება. თუმცა... იქნებ ცოტას ხომ არ ვაბუქებ? პოეზია ათასგვარი არსებობს და ყოველგვარი ყაიდის პიროვნება იპოვის იქ თავის ადგილს, თუკი ნიჭი აქვს”.

მე მგონია, – ალბათ ბევრ სხვასაც, – რომ ყოველ ადამიანში პატარა პოეტური ნაპერწკალი მაინც ღვივის, თუ კოცონი არა. ამიტომაც ვბედავ, მკითხველს შევთავაზო ეს წიგნი – დაახლოებით 100 ლექსი.

ამ კრებულში შესული პირველი ლექსი 1964 წლით არის დათარიღებული. ადრე – და ბევრი შემდგომაც – ნაწერი ვეღარ მოვიძიე და მათი დაკარგვა იქნებ არც არის სანანებელი; მეტიც, იქნებ აქ წარმოდგენილი ნახლავორთებიც ფუჭია, მაგრამ მაინც ვბედავ და იმედი მაქვს: თუ ეს კრებული მკითხველის მოწონებას არ დაიმსახურებს, ცნობისმოყვარეობით მაინც გადაავლებს თავს.

ლექსების ნაწილს წინ, ჩემი სურათის – გუაშის ან აკვარელის – ფოტორეპროდუქცია წავუმიძღვარე. რატომ – მხოლოდ პეიზაჟებისა? მხოლოდ იმიტომ არა, რომ სხვა ჟანრის სურათის შექმნა გამომწვევებოდა და ცხადად გამომჩნდებოდა ჩემი მოყვარულობა; გინდაც სამხატვრო სკოლა გამეგლო, მე მაინც ალბათ პეიზაჟის მოტრფიალე დავრჩებოდი – ბუნება ძალიან მიყვარს!

ლექსები

1964 - 2012 წწ.

პაემანი ალვის ხესთან

მე:

მოშრიალე ალვის ხეო,
ტანმაღალო, აქოჩრილო,
გთხოვ, იმ შენი კენწეროთი
გორაკს იქით გადიხედო!

ალვა:

მეტი აღარ გააგრძელო,
მივხვდი აქ რამ მოგიყვანა!
აქედან ყველაფერს ვხედავ:
გორაკს იქითა სახლიდან
როცა გოგონა გამოვა,
მაშინვე შეგატყობინებ!

1964 წლის 29 იანვარი.

* * *

ნეტავ ერთი ლექსი დამაწერინა
და მერე მომკლა...
მაგრამ ისეთი ლექსი,
ყველას გულში დაიდოს ბინა,
ყველა გულში ყვავილი ახაროს,
ყველა მოხუცს ახალგაზრდობა გაახსენოს,
ყველა გოგო-ბიჭის თვალებში
ღიმილი აირეკლოს,
ყველა დიდს პატარა საწუხარი აკმაროს,
ყველა პატარას დიდი სინარული
დაუნთოს გულში...

1968 წლის 30 ოქტომბერი.

* * *

როს გავიფიქრებ შენზე უეცრად,
ლექსის დაწერა მომენტურება!
რა წაგაკითხებს, ტურფავ, ამდენ ლექსს, –
შენ ხომ ყოველ წუთს სულ მაგონდები...

1971 წლის 17 მაისი.

მოსუცი

ჭრიალებს პროთეზი,
 მიდის მოხუცი კაცი,
 მძიმედ ეყრდნობა ჯოხზე,
 ათვალიერებს გამოფენას...
 ნატურმორტებს:
 ყვავილებს,
 მზესუმზირებს,
 წითელ მიხაკებს,
 მწვანე ბოთლებზე არეკლილ ათინათებს...
 მძიმედ ეყრდნობა ჯოხზე
 აჭრიალებს პროთეზს,
 აკვირდება პეიზაჟებს,
 რომლებსაც ალბათ
 ვერასდროს იხილავს ნატურაში:
 ყურიდან ზღვაში გასასვლელს
 მიაშურებს გემი,
 გზატკეცილზე მიმქროლავი მანქანისკენ
 მოისწრაფიან მთები,
 სადამოს ნაღვლიან ცაზე
 სავსე მთვარე დაკიდებულა...
 მოხუცის სახე ამ მთვარესავით
 სრულიად მშვიდია,
 მხოლოდ საწყალობლად
 ჭრიალებს, ჩივის პროთეზი...

1979 წლის 8 დეკემბერი.

ნოემბრის ღამე

ღამე ნოემბერისა
 საფერავით დამთვრალა,
 ვარსკვლავთა ნაპერწკლებით
 ცის ხავერდი დაფარა...

1981 წლის 25 აპრილი.

ღროის ბაწარი

მე ყელზე მიჭერს
 ყოფის ბაწარი...
 ყოველი წამი –
 ღროის წამწამის
 დაფახულება –
 მექღურტულება:
 "გეყო წანწალი,
 წუწუნ-წკავწკავი,
 იჩქარე –
 იხარე
 და
 ახარე!".

მთვარე გალობს...
სახუმარო

მთვარე გალობს:
“სინარული
აღარ მწყალობს;
სიყვარულიც
აღბათ ნანობს,
თან რომ დავდეგ
გადაბმული...
მაშ, ცის ტატნობს
მოვწყდე განა?
სხვას დაჰკიდებ
ჩემისთანას?”.

1982 წლის 11 მაისი.

ჩიტი და ფრთიანი ლექსი

9 წლის ბესოს დაბადების დღეს ვუძღვნი,
რამდენადაც შეპირებული სურათის
დამთავრება ვერ მოვასწარი.

ჩემს წინ ტოტზე ტოკავს ჩიტი,
ბესოს მუშტის ტოლა,
ვგრძნობ, რომ ტოკავს ჩემი გულიც –
მინდა მისი ყოლა...

და აფრინდა უცებ ჩიტი,
ჩიტი ერთი ცილა..
დააობლა დაბლა ტოტი, –
ლექსიც ამოფრინდა!

1985 წლის 23 აგვისტო.

ორი წამიერება

1.

რა ხანია, წვიმამ გადაიარა,
ყოველივე გაშრა მინდორზე –
ხეც, ბუჩქიც, ქვაც, მიწაც...
მხოლოდ ერთ პატარა ბაღას
თავის ფოთლებში-ხელისგულებში
მოუქცევია ეული წვეთი-მარგალიტი...

2.

რა წერწეტა, ამაყად ამართული,
თეთრკაბიანი ქალიშვილი
დგას გაჩერებაზე,
მკლავის ნატიფად აწვეით
ისწორებს თმას...
ნეტავი სულ ასე იდგეს!
ჩამოიარა
წითელმა ავტობუსმა,
გაჩერდა რამდენიმე წამით...
წავიდა.

და რა საოცარი
სიცარიელე დატოვა...

1986 წლის 31 იანვარი.

* * *

დღე ისედაც მძიმე იყო
და ახლა კი
ღამის შავი არწივი
მკორტნის –
ძილის ბნელ ჭაში
ვერაფრით ჩაგვარდი...
დილა მალე იყივლებს,
შავ ბალიშს გაათეთრებს,
მე კი ბინდის ზეწარში გავეხვევი –
ჩაფყვინთავ ძილში,
ამოფყვინთავ სიზმარში:
ფრენა...
ფრენა...
ფრენა...
რა კარგია!
ზევით!
ქვევით!
ისევ – ზევით!
ისევ – ქვევით!
უფრო ქვევით!
თითქოს უკვე მიწას უნდა დავენარცხო!
და უცებ –
აგვარდები ზევით,
სულ ზევით!
სული მიგზუბდება აღტაცებისგან!
ვიფრენ ჩემს გემოზე –
გულს გავახალისებ,
სულს გავათავისუფლებ...
მეტი რაღა დამჩენია,
გარდა ნატვრისა:
გვიან გამეღვიძოს!

1988 წლის 14 იანვარი.

* * *

ცხოვრების მორევს
არა ვარ მომრევი.
ოჩანი ხარივით,
უშმურ ავღარივით –
მიიზღაზნება
ჩემი წუთისოფელი.
დღე და ღამე ვტირი,
წყეული აღვირი
გამიკეთეს მოკლე –
ოცნება კი მოკლეს...
ძალადობა ყოფილა
მთლად დედიშობილა...

1988 წლის 30 აგვისტო.

ღამის ლექსი

ძილის წინ,
 თავს რომ მივდებ ბალიშზე,
 მაინცდამაინც მაშინ
 ამოტივტივდებიან
 საიდანღაც ხილვები
 და გამწკრივდებიან
 ლექსის სტრიქონები –
 ერთი მოკლე
 ან
 გრძელი მატარებელი.
 ჩემი ცხოვრების მატარებელი
 მიჩაქჩაქებს, მიირწევა...
 მიდის დაგადუგით,
 ქშენა-ქროლვით,
 ზმუილ-ბაქიბუქით,
 კვამლ-მჭვარტლის ხუთვით,
 ბორბლების რაკარუკით...
 გუ-გუ-გუ!..
 თუმცა ხშირად მიჩანჩალებს,
 სადღაც წაიკივლებს,
 ხანაც წაიფორხილებს,
 ზოგჯერ სულაც ჩერდება –
 სულის ხუთვა უჩნდება,
 მაგრამ არასდროს,
 არასდროს,
 არასდროს –
 არასდროს მიდის უკან!
 მის ვაგონებში-მოგონებებში
 (რომლებიც სულ უფრო მატულობს),
 ხან – პეიზაჟი დაისადგურებს,
 ხან – ღამაში ქალის სახე გაიციალებს,
 ხან – მოხუცის უქმი სიბრძნე,
 ხან – ბავშვის ბრძნული უზრუნველობა...
 მოჩვენებითი ვაგონებიც არის:
 ერთი ვაგონია –

ვითომ კასკადერი-მაღაყისტი ვიყავი,
 მეორე –
 ვითომ კოლუმბი,
 საოცნებო ინდოეთის გზის მაძიებელი;
 ერთ ვაგონს კოსმოსური რაკეტის
 ფორმა აქვს,
 სხვას – წყალქვეშა ნავის,
 ხანაც – ზღვის სიღრმეში
 ჩასაყვინთი ბატისკაფის...
 დამსხვრეული ოცნებების
 მთელი შემადგენლობა!
 უჩინმაჩინის ქუდი,
 მოგზაურობები, ქვეყნები, ხალხები...
 პეიზაჟები, წაკითხული წიგნები, მუსიკა,
 ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია,
 ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ასტრონომია...
 უცებ – ტკივილი:
 ნახანჯლარი ციხეები –
 ნახანძრალი წარსული...
 თავს ვიტყუებ, ვითომ მატარებელი
 უკან არ მიდიოდეს ხანდახან...
 ზოგჯერ ჩემს დაბადებამდე

საუკუნეებით იხვეს უკან,
 უძირო, უკუნ სიბნელეში,
 წინაპრების ხმლების ჩახაჩუნით
 განათებულ ყიჟინაში!
 მერე – ისევ წინ!
 წინ, წინ და წინ!
 გარდისფერი განთიადი
 ყვაველებით მხვდება...
 ათასგვარი ვაგონები-მოგონებები,
 გაირბენენ ერთიმეორის მიყოლებით,
 სანამ ძილის გრძელ, შავ გვირაბში
 არ შერგავს თავს მატარებელი
 და წყვდიადი დაისადგურებს...

1884 წლის 13 აპრილი.

1990 წლის 4 აპრილი.

მე ვარ ხომალდი

ათასჯერ თქმულ სიმღერას მეც ავყვები:
 მე ვარ ხომალდი –
 მივექანები ცხოვრების ოკეანეში,
 უსაჯოდ და ძალიან ხშირად – უიალქნოდ.
 ჭექა-ქუხილი...
 მდინარებანი...
 ქარბორბალა...
 ტაიფუნი...
 ქარიშხალი...
 მერე უცებ –
 შტილი!..
 მაგრამ ეს სიმშვიდეა გრიგალის წინ!
 ყველა შემთხვევაში კი –
 არ ვიცი, საით მიმაქანებს ცხოვრება,
 რას მიქადის მომავალი?
 საით?
 საით?
 რა?
 რა?
 მომავალი ჩემზე არ არის დამოკიდებული –
 ფატალიზმი:
 უიალქნობა,
 უიმედობა...
 ვაგლახ!..
 მე – ხომალდი,
 მეჩეჩზე ვირიყები...

1990 წლის 25 აპრილი.

დრო მიდის...

დრო მიდის – წყალი იმღვრება,
 დრო მიდის – დაწდება სულაც...
 დრო მიდის – ყველაფრის რღვევა
 აჩნდება ხორცსაც და სულსაც.

დრო მიდის – შხაპუნა მოდის
 და ხრიოკ სულს ეპკურება, –
 მწვანე ყლორტები იმედის
 აქა-იქ კვლავ გამოჩნდება.

1990 წლის 2 სექტემბერი.

ლექსი – ურა კვიცი (I)

რა არის ეს ლექსი, ბიჭო, ა?
 გამოსტება უცებ დაუკითხავად,
 მეტიჩრულად:
 გრძნობ რაღაც ამჩატებას,
 თუ მღვლევალებას,
 თუ მიწის გუგუნს,
 თუ ზეცის რეკვას,
 თუ...
 მოკლედ,
 არ ხარ ნორმალური,
 რაღაც მოსდის შენს თავს...
 დიან, გამოსტება კვიცივით ლექსი,
 მეტიჩარა,
 ხანდახან – კუდაბზიკა,
 ხშირად – ჯიუტი
 13 წლის ბავშვივით...
 ხან ებრძვი
 მისი მთის მდინარის მქუხარებას,
 მის ხმას და ჩქერებს,
 ეჯახები არითმის კლდეებს,
 გდის უილაჯობის სისხლი,
 რომლითაც ჟღინთავ სტრიქონებს...
 ხან ნელი,
 საამო ტაატით
 მიმღვლევარე ნაკადია,
 გაწვები ზურგზე სტრიქონებისა
 და სიტყვები აგიტაცებენ ნარნარად,
 შენდა უნებურად მიგაქროლებენ
 შეუჩერებლად...
 და ამ მდინარების ნაპირებზე
 რას არ ხედავ:
 აგერ – ლამაზი გოგო დგას ნაპირზე
 და ხელს გიქნევს, გაღიმებული,
 ხან აღუბლის აყვავებული ხე
 აღგაფრთოვანებს და დაგაფრთიანებს
 (გინდა, ნაპირზე გაფრინდე,
 წყლიდან ამომხტარი!),
 ხან რაღაც დაჯღანული
 სახლი ამოტივტივდება
 თუ წამოიმართება ნაპირზე
 (რომელშიც ცხოვრება
 ალბათ შეუძლებელია,
 ისეთი უცნაურია და ძველი),
 ხან პოეტური მდინარება
 ზურგზე დაგაწვევს
 და თვალებს
 ზეცას მიგაშტერებინებს,
 მხერით გაიტყვინებს –
 ვარსკვლავებისკენ!
 გიხარია, გეკვირის სუნთქვა –
 ლექსი იბადება!
 უცნაურია,
 ხან იოლად გამოსტება, თავისით,
 როგორც ვთქვი, დაუკითხავად,
 ხან კი –

გაწვალებს,
 იჭინთები
 და არაფერი გამოგდის,
 კენესისა და
 თაგბედის წყევლის გარდა...
 არადა, ვერც ანებებ თავს
 ჯერ არშობილ ლექსს –
 ის მოითხოვს, რომ იშვას!
 მოკლედ, თავხედია, გაწვალებს,
 მის ნებაზე გათამაშებს!
 სამაგიეროდ! სამაგიეროდ! სამაგიეროდ!
 როგორი, როგორი, როგორი
 შეება და სიამე გეწვევა,
 როცა მშობიარობისგან განთავისუფლდები!
 მე ვშიე ლექსი!..
 იბრიქები,
 სულელური ღიმილი დასთამაშებს
 შენს ბედნიერებისგან
 გამოთაყვანებულ სიფათს..
 და ქვეყანა შენი გგონია!..
 მეორე დილით კი...
 მეორე დილით ნატრობ:
 ნეტავ ეს ქალაღდის ნაკუწი დაკარგულიყო!
 ნეტავ თავგს წაეცუნცულდებინა
 თავის სოროში!
 ნეტავ ქურდს, რითმების მპარავს,
 შეშლოდა და ხელს გაეყოლებინა!..
 ნეტავ...
 ნეტავ...
 ნეტავ...
 იმიტომ...
 იმიტომ, რომ
 დილით გადაიკითხავ
 ღამით ნაჯახირე-ნაწვალებს
 და ხედავ:
 არაფრად ვარგა,
 შაურია მისი ფასი,
 სასაცილოდაც არ გყოფნის!
 ნუთუ შენ მოახრჩვე ეს საშინელება?!
 არც კი გჯერა...
 და ისეთი ტუტუცი იყავი,
 რომ, აღფრთოვანებულს,
 ლამის მთელი ქალაქისთვის
 გაღებული ფანჯრიდან
 ხმამაღლა წაგეკითხა
 შენი “შედევრი”!..
 ურა კვიცი ვერ გახედნე –
 უნაგირიდან გადმოგაგდო,
 ქვასავით მიწაზე დაეძინეყვე
 და მტვერში გაგორდი...

1990 წლის 25 აპრილი.

ლექსი – ურა კვიცი (II)

ლექსი ურა კვიცივით შემოგლიჯინდება
 უცებ სულში,
 შემოგაჯენს აღტაცებისა
 თუ აღფრთოვანების ზურგზე
 და გაგიტაცებს-გაგაქროლებს

უვალი გზებით...
მოგატარებს ფერად-ფერად უცხო მხარეებს:

უფრო ხშირად – ოცნებისა,
ზოგჯერ – ბრაზ-ბოდმისა
(თვალეები გადმოცვენაზე გაქვს),
ზოგჯერ – ირონიისა
(სარკაზმულად გეწვლება ტუჩთა კუთხეები),
ზოგჯერ – სინარულისა
(ყიჟინას დასცემ!),
ზოგჯერ –
მწუნხარების ხის დაშვებული
ტოტების ქვეშ ნელა,

ტა-ა-ტით

გაგატარებს...

ხან – გაგაცვლქებს და
ბავშვობის ბურთს გამოგაკიდებს,
ხან – მასხარის ჩანს დაგახურავს და
მაღაყებს გადადიხარ,
ხან – ფილოსოფოსის გაბიბინებულ,
ჭალარა წვერს გამოგაბამს,
ხან – მოგზაურის კვერთხს შემოგაჩვენებს,
ხან – მხატვრის ყალამს
აგადებინებს ხელში,
ხან – მამალივით ყივი,
ხან – შაშვივით გალობ,
ხან – სულ შეგუბებულნი,
ხრიალებ სასოწარკვეთით...

ისეც ხდება: სიკვდილის მოქნეულ ცელს
ლექსის მახვილს შეაგებებ!..

და ყოველთვის, ყოველთვის, ყოველთვის –
კმაყოფილი ხარ,
თუ კოხტად მოათავსე
აზრის ბურთი
ფორმის ლუზაში!

1991 წლის 21 აგვისტო.

ჭირვეული მუზა

ხან:

ხარ ბუღასავით ჯანმრთელი –
შეგიძლია მთები მოთხარო,
მაგრამ დღეები გადის,
ლექსი კი არა და არ მოდის,
შთაგონება

გაფრინდა გრძნეული ჩიტივით,
გადაიკარგა...

ფიქრობ:

“ამაზე ცუდი რა უნდა იყოს,
თუ მუზა მართლა შემოგწყრა
და გაგეცალა”...

ხან კი: ისე ხარ დაღლილი,
ნატრობ, ნეტავ ერთი
თავი დამადებინა სასთუმალზეო...
და აი, როგორც იქნა,
შვებით გაიშოტე ლოგინში,
ტკბილად მიღულე თვალები...

და ამ დროს,
 ჭირვეული მუზა
 მოფრინდება დაუპატიუებლად!
 ისეთი სახე წამოტივტივდება
 ან ისეთი შედარება, –
 ერთ ლექსად ღირს!
 და როგორ გინდა,
 გაძლო ლოგინში, –
 ვაითუ დილას ვეღარ მოიგონო!
 ადგე თუ არა?
 საკუთარ ნებისყოფასთან ჭიდაობა
 ერთხანს გაწვალებს,
 მერე,
 თავს ძალას დაატან,
 წამოდგები,
 წაბანცალდები მეორე ოთახში,
 შინაურები რომ არ შეაწუხო,
 და სიბნელეში
 საჩქაროდ მიაჯღაბნი ორიოდ სტრიქონს
 ქალაქის ნაგლეჯზე
 ან სუფრაზე!
 ან კედელზე!
 ან რაც მოგხვდება ხელში...
 მერე, ისევ წვეები...
 ცოტა ხანში, როცა გგონია,
 ძილის მორევში ჩაყურყუმაღავდი –
 ისევ გეწვევა შთაგონება!
 ისევ უძალიანდები,
 გამთბარი, გამტკბარი ლოგინის
 მიტოვება გეძნელება,
 ქუთუთოები უსაშველოდ დამძიმდებიან,
 მაინც ისევ მიაშურებ მეორე ოთახს,
 მოძებნი ქალაქის ნაგლეჯს,
 აჯღაბაჯღად მიაწერ კიდევ
 რამდენიმე სტრიქონს,
 შენს მეტი რომ ვერაგინ წაიკითხავს...
 და ლოცულობ:
 ნეტავ ის მუზაა
 თუ რაღაცა თავხედი,
 თუ ვიღაცა აბეზარი,
 სხვა დროს მაინც
 არ აგაწრიალებდეს უდროთ დროს!
 თუმცა...
 არ წამოხტები,
 ტკბილად დაიძინებ?
 და დილას
 უბედურად იგრძნობ თავს...

1985 წლის 25 აგვისტო.

1991 წლის 13 აგვისტო.

პესიმისტური ლექსი

მე სიზიფე ვარ –
 გჭამე და გჭამე
 ჩემი მოთმინება,
 დაუღეჭავად ვყლაპე და ვყლაპე...
 მე სიზიფე ვარ –
 ჩემი იმედის ტვირთი,
 დიდხანს,

ძლიერ დიდხანს,
 მეტისმეტად დიდხანს,
 ვაგორე ცხოვრების აღმართში;
 რაც დრო გადიოდა,
 ტვირთი-იმედი პატარავდებოდა,
 მაგრამ – საოცარია! – სიმძიმე
 სულ უფრო ემატებოდა...
 აღმართის დასაწყისში მწვერვალი მოჩანდა,
 მოჩანდა კი არა,
 ერთი ხელის გაწვდენაზე
 მაცდურად ბრწყინავდა...
 ვაგორე, ვაგორე იმედის გორგალი
 და
 მწვერვალი კი სულ უფრო მშორდებოდა,
 პატარავდებოდა კიდევ,
 თანდათან
 ბურუსითაც იბურებოდა, ნისლში იძირებოდა,
 ახლა კი – სულაც აღარ ჩანს...
 ამდენი ტანჯვა-წვალება
 სულ ტყუილად ჩაიყარა წყალში...
 კიდევ იტყვიან, კანონზომიერება არსებობსო,
 ძალისხმევა შედეგს ყოველთვის გამოიღებს,
 ტყუილი შრომა არ არსებობსო?

1990 წლის 17 მაისი.

1991 წლის 13 აგვისტო.

ძეგლი

ნუ მოითხოვ, ძეგლი აგიგონ,
 ძეგლი რად გინდა?
 ძეგლი თვითონ ხარ:
 შენი ფიქრი, შენი ქმედება,
 შენი სწრაფვის შედეგი,
 შენი აზროვნების ნაყოფი,
 შენი გრძნობების ტალღა –
 დარჩენილი სხვათა სულში...
 შენ თვითონ ხარ საკუთარი თავის ძეგლი –
 არც მეტი ხარ მასზე, არც ნაკლები.
 და ნუ სწუხარ, თუ უსამართლოდ გაგლანძღეს,
 ქება-დიდებაც ნუ აგამჩატებს და გადაგრევს –
 ბრძენი ძეგლებიც ხომ ამას ქადაგებდნენ
 დიდი, დიდი ხნის წინათ...

1990 წლის 3 მარტი.

1991 წლის 23 აგვისტო.

რამდენი...

დმერთო!..
 რამდენი ბავშვი ტირის ახლა,
 მე რომ ვერაფრით ვუშველი!..
 რამდენს ტკივა გული უსამართლობით,
 შენც რომ ვერაფერს უშველი!..
 რამდენი უწვერულვაშო დედისერთა
 სიცოცხლეს ეთხოვება,
 მის მშობლებს ვერაგინ,
 ვერაგინ,

ვერაგინ უშველის...
 რამდენი...
 რამდენი...
 რამდენი...
 ტკივილი,
 ცრემლი,
 უსამართლობა –
 უსასოთა,
 უმანკოთა,
 უცოდველთა...
 და მერე უკვირთ, როცა იტყვი:
 არა, არ არის ამქვეყნად ღმერთი, ღმერთო!

1991 წლის 27 დეკემბერი.

დილა, შუადღე, საღამო, ღამე...

გავახილვე თვალი ფრთხილად, –
 თეთრად ბოლავს ნისლის ფთილა...
 და ავფრინდი კვიცზე ცქეიტად, –
 დილა.

შუბის ტარზე აელვარდა
 შუქურა მზე – რომ მიყვარდა...
 შურდულივით მივქრით მარდად, –
 შუადღე.

შენეღდა რბოლა საამო,
 დაეშვი, ჩემო ალამო...
 ნაცრისფერია გარემო, –
 საღამო.

ხმა აღარ აქვს დაღლილ ზარებს,
 აღარც ნაპერწკალი – ნაღებს...
 მალე გავიხურავ კარებს, –
 ღამე...

1993 წლის 2-3 სექტემბერი.

დედამიწა – მრგვალი ქანდაკება

ცისფერი დედამიწა –
 ღმერთის საყვარელი ნამუშევარია,
 დიან, დედამიწა – მრგვალი ქანდაკებაა!
 ამავე დროს, ის ჭედური ხელოვნების
 ნიმუშიცაა –
 რელიეფი ამშვენებს – ხმელეთი!
 ზღვა-ოკეანე კი – საშოა,
 დედაკაცური საწყისი,
 ლბილი, მოუხელთებელი, იღუმალი...
 ხმელი – მაღლა ამართული ფალოსია,
 ძლიერი, უტეხი და გამარჯვებული...
 ოკეანე-საშოდან იშვა სიცოცხლე დედამიწაზე;
 ხანი გამოხდა და რაღაც ჯოჯოსმაგვარი
 ამოფორთხდა ხმელზე
 და ზღვის სიღურჯეს
 ხე-ბუჩქბაღასის ზურმუხტი ამჯობინა.
 ხმელს დღენიადაგ ებრძვის,

ვნებიანად ესლება ზღვა,
 ხანაც ნაზად ეაღერსება ფინიასავით –
 ლიქნით ულოკავს ფეხისგულებს
 და ამ მუდმივ ჩახუტება-მტრობაში
 ნელ-ნელა ავიწროებს...
 სურს, უკვალოდ ჩარეცხოს, ჩანთქას,
 მაგრამ ბოლომდეც ვერ გაწირავს...
 და რაც წყალ-ხმელი განცალკევდნენ,
 მას შემდეგ ეს ტრფობა-ჭიდილი მუდმივია:
 ერთგან რომ ზღვა იპყრობს ხმელს,
 სხვაგან – ხმელი სდევნის ზღვას...
 და ამ ორთა შერკინებაში ჩართულია
 მიწისძვრების გუგუნ-ხარხარი,
 ვულკანების ცეცხლოვანი სალუტი
 და მაგნიტური პოლუსის წოწიალი...
 ჩრდილოეთის ციალის ფარდა
 არ ნიშნავს
 ამ მარადი
 დრამატული
 ჭიდილის
 დასასრულს...

1993 წლის 14 ნოემბერი.

1993 წლის 23 ნოემბერი.

ალიონი

ადე, ბიჭო,
 ერთი წამით,
 გაიხედე, –
 ალიონი
 ზაფრანისფრად
 როგორ გალობს;
 მზე ცისკარზე
 მიჯირითობს,
 ჰყვივს,
 ხარობს!
 გაიხარე,
 შენც შეხედე,
 ადე, მალე!
 სული მჩატე
 გადაწონე,
 საოცრება
 რომ იხილო:
 მობრწყინდება
 ძოწისფერი
 საოცრება –
 ალიონი!
 ადე, მალე!..

1993 წლის 22 დეკემბერი.

შეცქერი ცას

მიჰქრის დედამიწა – ცისფერი ციცარი...
 ნელ-ნელა ჩააქრობს ვარსკვლავებს ცისკარი;
 მერე მხიარული მზე ამობრწყინდება,
 მთელი დღე გარემოს ხილვა მოგწყინდება?

დღევ დაილევა და ღამაზ ვარსკვლავთ ჯარი
 ცად აციმციმდება იღუმალად წყნარი.
 იზიდავს შენს მზერას კვლავ კიდევ და კიდევ
 ვარსკვლავთა სიშორე, მნათობთა სიდიდე...
 მდილიც კი არა ხარ მათთან შედარებით, –
 უცქერ ღამის მდინარებას –

მღუმარებით...

პოლიტიკოსები (და ზოგი – პოეტიც) –
 – და ამბიციებით სავსე მიეთ-მოეთნი, –
 ნუთუ, ზოგჯერ მაინც, აღარ შესცქერიან
 ვარსკვლავებით მოჭედელ ცას?

1993 წლის 16 დეკემბერი.

1994 წლის 26 თებერვალი.

საქართველო

ბესიკსა და დათუნას

ჩემი ვაჟიშვილების საძინებელ ოთახში
 ნახტომში გაფრენილ ჭრელო ვეფხვო –
 კედელზე გაკრულო საქართველოს რუკავ!
 ხშირად ვჩერდები შენთან, მონუსხული:
 ვით ორბი დანატრიალებს თავის საუფლოს,
 კიდევ და კიდევ, ისევ და ისევ,
 მეც ასევე, შინაგანი მზერით
 დაგცქერი და გეაღერებს, ჩემო ქვეყანავ –
 ასეთ პატარას და ასე დიდს...
 ბავშვობიდანვე ყველაზე უფრო
 მიყვარდა გეოგრაფიულ რუკაზე ხეტიალი:
 ზანზიბარი, ლიმპოპო, კილიმანჯარო...
 მისისიპი, ამაზონი, ცეცხლოვანი მიწა...
 ტასმანია, ტაიტი, ტიბეტი...
 ჰოკაიდო, ჰავაი, ჰეკლა...
 მაგრამ, კარგა ხანია,
 ჩემთვის ტკბილად ჟღერს ბევრად:
 მყინვარწვერი, არჯევანი, ბორბალო!..
 კოდორი, ჭოროხი, არაგვი!..
 ჩოხატაური, უშგული, თელავი!..
 გელათი, ყინწვისი, კუმურდო!..
 დიდგორი, კრწანისი, მარაბდა!..
 სხეიტორი, ყვარელი, ჩარგალი!..
 მორკალულა დედა-მტკვარის მშვილდი –
 ვარძია, აწყური, უფლისციხე, მცხეთა...
 მიიკლაკნებიან ალაზანი და იორი –
 ციფ-გომბორის მხრებზე
 გადაგდებული ორი ნაწნავი!..
 ბახტრიონი,
 ალავერდი – თეთრი გემი,
 გრემი...
 კარდენახი, ხირსა,
 ახაშენი, ახმეტა,
 გურჯაანი, ტიბაანი,
 მუკუზანი, თელიანი, მანავი,
 ნაფარეული, წინანდალი –
 დაგუზუნებული მრავალჟამიერი!..
 მირზაანიდან შგლის თვალებით
 მიმზერს ნიკალა...
 შირაქის ტრიალი ტრამალი –
 ტოროლები ცაში უგალობენ

მოღარანე პურის ყანას
 და მზის თვალის ბრიალს...
 პანტიშარაში კაკბები
 კენკავენ კოწახურს...
 გარეჯის სენაკებიდან მესმის
 საუკუნეთა წყნარი გალობა...
 პატარბეული –
 ბროწეულის ძოწეულები
 ბრიალებს გოგლას ლექსივით,
 რეზო ინანიშვილი სინანულით
 ანანაგებს ხელს უჯარმის ციხიდან...
 გიორგი შეტბერაშვილი ვენახში
 გასულა თვალადის,
 დასცქერის საგსე მტევნებს ხარის
 კეთილი თვალებით...
 გორის ციხე – ქართლის მტევნის შუათითზე
 წამოცმული ბეჭედი...
 კაცხის სვეტიდან გავცქერი
 დავით კაკაბაძის ტკბილ იმერეთს –
 ბების ნაჭრის ფერადოვან საბანს...
 ციხესულორში ალადასტურის
 მტევნები ჩალამებულა,
 გურიის გორაკებზე მოგოგმანე გოგონები
 გულდაგულ “კითხულობენ”
 ჩაის პლანტაციების სტრიქონებს...
 კინტრიშის ჩქერებში-ჩანჩქერებში
 კალმახი ჩქარობს-ჩქაფუნობს...
 ბათუმის მძინარე ყურე – ზღვის საყურე –
 ძაღლივით მოკუნტეულა ქალაქის ფერხთით
 და სიზმარში ჩემს ბავშვობას იხსენებს...
 ფოთი ფართო აბაზანის –
 შავი ზღვის –
 ფრთასთან ფუთფუთებს...
 რიონისა და ენგურის ხელხვაგვიანად
 დატოტვილი ხეების
 წვეროკინებზე გაფურჩქენილა
 მწვერვალები – თეთრი ყვავილები:
 შხარა, ჯანდა, უშბა, ლაილა,
 თეთნულდი, სამერცხლე, შოლა, ფასის მთა
 და კოლხეთის თეთრი აფრის –
 სვანეთის –
 სიმყურდოვეს ალამაზებენ
 ყვავილთა გვირგვინით...
 ხშირად რომელიმე მდინარეს
 დავუყვები სათავიდან შესართავამდე:
 ხან თუშეთის თუ ხევის
 მწვერვალებს დავლაშქრავ,
 ან თორისწყლის თუ ყვირილის
 ხეობას ამოვიჩემებ...
 დღეს კი უგეგმოდ ვიხეტიალე,
 დროის რბოლას ვერ ვგრძნობ
 და მაინც რამდენი მარგალიტი გამომრჩა –
 თუნდაც ბიჭვინტა, ქუთაისი, ვანი, ონი,
 რკონი, დიდი ჭყონი, ბარაკონი, ბაკურიანი
 და კიდევ მრავალზე მრავალი
 სულის საღბუნი ადგილი, –
 დიდი და პატარა, – მქუხარესახელიანი
 თუ ნაკლებად ცნობილი,
 მაგრამ ყველა მშობლიური –
 სადაც კი ფეხი დამიდგამს,
 პური გამიტეხია,

ჭიქა ამიწვევია
 ან თუნდაც ოცნებით მინავარდია...
 დღე არ გაივლის,
 რომ ნახტომში გაფრენილმა
 ჭრელმა ვეფხვმა –
 კედელზე გაკრულმა
 საქართველოს ჯადო რუკამ –
 ერთხელ მაინც არ დამატყვევოს...

1993 წლის 28 ნოემბერი –
 14 დეკემბერი.

ჩიტი

გაგხსენი ჩემი სულის სარკმელი,
 ამოვაფრინე ოცნების ჩიტი,
 და დამეუფლა მწველი ნადველი –
 ყინულის წეპლით ზამთარი ფლიდი
 უდარაჯებდა თურმე...
 სათქმელი
 გულში ჩავიკალ, არავის ვანდე, –
 ცივი ავსული, ასულა ცამდე,
 როგორც სატანა, ქვეყნად გართხმული...

1993 წლის 22 ოქტომბერი.
 1994 წლის 27 იანვარი.

* * *

ქარიშხლიანი ღამე ღმუის
 და
 ჩემი სულის დამფრთხალ ბუდიდან
 ეს ლექსი – განთიადის ჩიტი –
 ამოვაფრინე...

1994 წლის 27 მაისი.

სადღეგრძელო

გვიხაროდეს!
 ხონტქრის მიერ უმადლეს ბოძებულ იქნა:
 ვირეშმაკა ტაკიმასხარები –
 პარლამენტის მაგივრად,
 უვიც წამგლეჯთა გუნდი –
 მთავრობის მაგივრად,
 “კანონიერი” გამომძალველები –
 პოლიციის მაგივრად,
 ფორმიანი ყაჩაღები – არმიის მაგივრად...
 სამაგიეროდ – დემოკრატიაა!

ვის არ მოეწონება:
 ქალაქის ნაგლეჯები – ხელფასის მაგივრად,
 ქუჩაში – შიმშილით გულწასულები,
 შინ – “დღეს პური მაინც გვაქვს, ხვალ?”...
 ძველი და ახალი ბობოღები კი
 საზღვარგარეთ დღეობებს იხდიან...

სამაგიეროდ – თანასწორობაა!

დიახ დიდი პროგრესია მიღწეული:
თავისუფლად მოგატყუებენ,
თავისუფლად გაგბარცვავენ,
თავისუფლად ჩაგაყუდებენ ციხეში,
თავისუფლად მოგკლავენ კიდეც...
სამაგიეროდ – თავისუფლებაა!

მაშ, გაუმარჯოს
თეთრი მელას მიერ ბოძებულ
დემოკრატიას,
თანასწორობასა და
თავისუფლებას!

1994 წლის 27 მაისი.

1994 წლის 8 ივნისი.

* * *

ჰყვიის განთიადი – წითური მამალი,
მონღოებისგან ფეხისწვერებზე წამომდგარი,
ბუმბულაშლილი, დაძაბრული, გაგეშებული,
ჰყვიის თავგამოდებით, დაუშურვებლად...
მაღე აუცილებლად გათენდება!..

1994 წლის 6 ივლისი.

თეთრი მელას ბოლო სიმღერა

თეთრი მელა ჩიოდა:
"მოთხერილი მაქვს კუდიო, –
გაგიხადე მეგობრად
ყაჩაღი და ქურდიო;
აღარავინ მიჯერებს,
დრო მომეღის ცუდიო,
გაგიპარო, დრო არის,
დავიხურო ქუდიო...
მაგრამ როგორ ავიტან,
სხვას ადგილი ვუტიო:
თუ "პირველი" არ ვიქნ, –
შევიქნები კუტიო...
დასრულდება ცხოვრება
წაწყმედილი, მრუდიო,
მთელი ჩემი დიდება
აღმოჩნდება ფუტიო!".

1995 წლის 28 იანვარი.

1995 წლის 11 თებერვალი.

წუთისოფლის გამოცანა

ამ წუთისოფლის ტკბილ-მწართ
გარ ყელამდე მთვრალი,
ამ ჭრელ ქვეყანას ვერ გავუბე ბოლო და თავი...
ვერა და ვერა!
და მწირ საკუთარ ჭკვა-გონებით ფონს
რომ ვეღარ გაველ,

სქელ ფოლიანტებს, სხვათა ნააზრევს მივებდლე;
მაგრამ ვაგლახ, ვერც იქ ვპოვე ის გასაღები,
მარადიული გამოცანის მოსარგებელი:
რად მოვევლინე ამ საწუთროს –

უფრო ტანჯვისთვის?

უაზრობანიც, სიბრძნეებიც ზვაგვიით მეცა,
მაგრამ ჭეშმარიტი ჭიშკარი
საწუთროს დიდ საიდუმლოსი
იმ წიგნებით სულ ოდნავადაც ვერ გამოვადე...
იქნებ ეს უკეთესიცაა?
ამოხსნისთვის რომ მიეღწია ვინმეს,
მას შემდეგ ხომ,
ერთ სტრიქონსაც კი არ დაწერდა ფილოსოფოსი,
აღარც პოეტი გატყნდა თეთრად ღამეებს
შეუბღალავ თეთრ ფურცელთან უხმო ჭიდილში...
(ზოგჯერ ბუტბუტს თუ მოჰყვებოდა
ვით ლოცვას მხოლოდ)
და არც ახალი იშვებოდა ალბათ მგოსანი...

1993 წლის 18 იანვარი.

1996 წლის 25 თებერვალი.

ლექსი – ღამე მოფრენილი ჩიტი

უცნაურია:

ეს ჭირვეული მუზა

რა უდროო დროს მესტუმრება ხოლმე:

როცა ძილის წინ გემრიელად

ჩავითბუნები ლოგინში,

უკვე თვალებიც საძილედ მინავლული მაქვს,

უცებ გამოანათებს,

სასწრაფოს ფეხზე წამომადგებს...

ჩაუცმელი, სიცივით აკანკალებული,

სიბნელეში ვემებ ქაღალდსა და კაღამს,

რომ დაუპატიუებლად მოფრენილი აზიზი ჩიტი

უკვალოდ არ გაფრინდეს...

დილით კი, გაკვირვებული და გახარებული,

ძლივს ვარჩევ აჯღაბაჯღა უზარმაზარ ასოებს,

მაგრამ მელოდია ლექსისა, რომელიც იბადება,

ცხადად ჩამესმის:

ხან მხიარულია –

ტოროლას გალობის სიხალისე

მოფრინდება ციდან,

ხან ნაღვლიანი –

წვიმის მძიმე წვეთებს მოჰყვება

ტყვიისფრად მოღუშული ღრუბლებიდან...

ხანაც – ფრთათეთრი ფიქრი-ფითრი

ფუთფუთებს ფუტურო თავში...

1992 წლის 9 დეკემბერი.

1996 წლის 26 თებერვალი.

თუ ხარ პოეტი

საკმარისია

ორი სტრიქონი,

რომ ჩაატიო

შიგ სტიქიონი –

თუ ხარ პოეტი...

1996 წლის 27 თებერვალი.

ახალი ყვარყვარე

რა ბიჭია – ყვერ-ყვერა!
 შეედრები? ვერ-ვერა!
 ხონთქრად დასვეს ყვარყვარე:
 “საქართველო მოთხარე!
 ანცალკემე ოც მხარედ,
 ქართველები აჰყარე,
 ტანჯვით წელში მოხარე!”.
 ჩუმად გულში ხარხარებს:
 “დაპირებით – “ხვალ-ხვალე” –
 გაგითხარეთ სამარე!”
 გამყიდველო, იხარე,
 სხვებს კი – მუშტი და სახარე”.
 მაგრამ მაინც ყვარყვარე,
 შენი ტახტი ყანყალებს...
 მოგელის დღენი მწარე!

1996 წლის 29 თებერვალი.

სინანული

ახლა, როცა
 ამდენი უგვანობა, სისასტიკე, მხეცობა,
 შური, ბოდმა, სიხარბე, –
 და სხვა ათასგვარი ბოროტება, –
 წამოტივტივდა, ბუქნაობს,
 მედიდურობს, ბრექიაობს,
 გათამამებული,
 გატუტუცებული,
 გალაღებული... –
 მაგონდება ერთი კაცი:
 კაფანდარა მოხუცი,
 წვრილი,
 სევდით დანისლული თვალებით,
 რომლებიც სადღაც შორს იყურებოდნენ,
 ახლოს კი ვერაფერს ამჩნევდნენ...
 და ყრუ ხმით,
 თითქოს რაღაცას გეხვეწებოდა,
 მოგიტხოვდა ერთ
 არცთუ ჩვეულებრივ ამბავს,
 მას რომ გადახდენოდა
 ორმოცი წლის წინათ,
 მაგრამ ახლაც ცოცხალივით
 თვალწინ ედგა
 და ვერაფრით მოეშორებინა
 აკვირებული ზმანება –
 ვერაფრით,
 ვერაფრით,
 ვერაფრით...
 და ისევ და ისევ უყვებოდა,
 ნაცნობებს – მეთუჯერ,
 უცნობებს – უფრო ხშირად,
 რადგან ნაცნობები უკვე გაურბოდნენ
 მასთან შეხვედრას...
 ის ძველთაძველი ამბავი

ახლა ცხადშიც აფორიაქებდა
 და სიზმარშიც,
 თუკი დაძინებას მოახერხებდა...
 ამ ამბავს შელამაზება არ სჭირდება,
 არც – ტბილი რითმა,
 არც – ლამაზი საღებავები,
 მხოლოდ – დაფიქრება, ჩაწვდომა, გაგება
 ან
 დაფიქრების, ჩაწვდომის, გაგების
 სურვილი მაინც...
 საღამო ყოფილა, წყნარი, უქარო,
 ტყით გარშემორტყმულ
 პატარა ლამაზ მდელოზე
 კოცონი ბოლაგდა, ტოტები ტკაცუნობდა
 და ახალგაზრდა,
 სულ მთლად ჭყინტი ჯარისკაცი
 ცეკვავდა, ცეკვავდა, ცეკვავდა...
 ხელგაშლილი, სახენათელი
 მტრის ჯარისკაცი
 სრიალებდა, დაფრინავდა, დაჰქროდა,
 ალბათ წარმოსახვით სატრფოსთან ერთად –
 ტრიალებდა თავდავიწყებით,
 თვალვინაობა...
 და ამ დროს...
 ესროლა – მოკლა!..
 მერე, ორმოცი წლის შემდეგაც,
 დაუსრულებლად ჰყვება ამ ამბავს,
 ვერა და ვერ განელდება სინდისის ქენჯნა:
 კი, მტერი იყო, მაგრამ კაციც ხომ იყო,
 ადამიანი...
 და ასე გალაღებული, ატაცებული,
 წუთით ბედნიერი –
 როგორ წამიერად მოსპო!..
 მოსპო – კაცი,
 მოსპო – ცეკვა,
 მოსპო – სილაღე, სიხარული, სიცოცხლე...
 მოსპო საკუთარიც – სილაღე,
 სიხარული, სიცოცხლე –
 დაუფიქრებლად, გაუაზრებლად...
 ჯერ კარგად დაუმიზნა,
 მერე წამით შეაჩერა სუნთქვა:
 რომ არ აჰკანკალებოდა ხელი,
 არ გაქანებულიყო სამიზნე,
 არ ასცდენოდა ტყვია –
 და...
 რატომ, რატომ ვეღარ ივიწყებს იმ წუთს,
 როცა უყურებდა ბედნიერ ადამიანს, –
 იშვიათი იყო ბედნიერი ვინმე
 იმ სისხლის წვიმების დროს...
 ... და მერე გამოჰკრა ჩახმახს,
 რბილად მოსწია სასხლეტს...
 რბილად წაიქცა მოცეკვავე,
 რბილად აირეკლა ტყის კედელმა
 გასროლის მჭახე ხმა...
 და ეს ხმა
 აქამდე არ განელებულა,
 მოდის და მოდის,
 ირეკლება და ირეკლება –
 დაუსრულებლად
 ჩვენს დრომდის...
 მის ხსოვნაში სინანულის ფარი

ვერ იცავს მოგონებისგან...
 სინანული – ყველაზე დიდი
 ჯილდოა ადამიანისთვის,
 როცა კაცურ კაცად მოგიგონებენ
 (“როგორ გვაკლია იგი!”)
 და ყველაზე დიდი სასჯელი,
 როცა საკუთარ უგვანო
 საქციელს იხსენებ...
 ამ უბრალო ამბავს შელამაზება
 არ სჭირდება,
 არც – ტკბილი რითმა,
 არც – ლამაზი საღებავები,
 მხოლოდ –
 დაფიქრება, ჩაწვდომა, გაგება...
 ან
 დაფიქრების, ჩაწვდომის, გაგების
 სურვილი მაინც...

1997 წლის 28 მაისი.

1997 წლის 4 ივნისი.

ყველა ქალი – მშვენიერია!

მწუნარე ქალი – მშვენიერია!
 მცინარე ქალი – უმშვენიერესი!
 მძინარე ქალი – თვალწარმტაცი!
 მცონარე ქალი – ნაზია!
 ალერსით მთვრალი – უსურვაზი!
 ფიქრით გატაცებული – მომხიბლავი!
 საქმით გართული – მომაჯადოებელი!
 ნორჩი ქალწული – ოცნება!
 ოჯახის ქალი – სათნოება!
 ქალი მრავალშვილიანი –
 ვაზი მსხმოიარე!
 წლებით დამძიმებული –
 სიბრძნის საწყაო!
 ქალი ფრთამაღი – კალმახის სხმარტალი!
 ქალი დინჯი – ოქროს სინჯი!
 პატარა ქალი – ნატვრისთვალი!
 მოსული ქალი – სამოთხის წყალი!
 ქალი ბირკა – ამოგვირეკავს!
 მოლაქლაქე – მაინც ვაქე!
 მოწუწუნეს – რას უწუნებ!
 ქალი თავმბდაბალი – წყლულის წამალი!
 ქალი ამაყი – დვთის თვალის სანახი!
 მსუქანია – ფუნთუშაა!
 გამხდარია – ალვისტანა!
 ექიმია თუ მუშაა – რა გინახავს ამისთანა!
 ქალია ფიალა
 ბოლომდე დაუღვეველი
 სიმღერა წკრიალა –
 ტკბილი და უღვეველი!
 ქალი ყველა, –
 გამბობ წრფელად, –
 მშვენიერია!
 უმშვენიერესია!
 უუმშვენიერესი!..

1997 წლის 14 ივნისი.

ლიახვი

ამდგრეულ ზვირთად გათალხულო
და ისრის წვერად წამახულო,
მტკვარს ეძგერები ლახვარივით –
გორის ციხესთან გალახულო,
მტკვრით კისერმოგრეხილო,
შებერვით ჩამქრალ ლამპარივით,
შეებას ნახულობ
დამარცხებაში – გათქვეფაში...

1998 წლის 8 მაისი.

განცდა

გშორდება ბევრი,
მიხურავს კარებს, –
გუბდება ცრემლი,
გროვდება მწარე...
დრო მიდის,
თეთრი
ამოდის მთვარე, –
ნათდება ტვერი, ამდერდი ბარემ...

1998 წლის 10 მაისი.

* * *

მტკვარი ქებული,
ადიდებული,
ქაფმორეული,
შფოთავს ეული –
ნაპირღვეული,
გადარეული...

1998 წლის 4 დეკემბერი.

გაზაფხული

ჭრიჭინობელთა ჭრიჭინი,
ყაყაჩოების კაშკაში,
მინდვრის ბალახთა ბიბინი
და ორბის ცაში ყაშყაში,

მაისის იასამანი,
კუნელის თეთრი კაბა და
ფუტკრების დინჯი ზუზუნი –
ნეტა რა მადლმა დაბადა!

1999 წლის 15 მაისი.

* * *

მე რომ გოგო მყავდეს,
ნინოს დავარქმევდი,

თამარს დავარქმევდი,
 იას დავარქმევდი,
 მზიას დავარქმევდი.
 ანდა – კესანესაც...

1999 წლის 21 მაისი.

ბახის მოსმენისას

იოჰან სებასტიან ბახბახდევო,
 ამაღლება რეკავს თხემში, –
 მეფევე საკრავთა მეფის – ორღანოსი,
 მიწისძვრა ხარ სამოთხეში!

1999 წლის 7 ივნისი.

ძველებური სატრფიალო

ნეტავ ჩემს გულში შენ ჩაგახედა,
 ნეტავ გაგეგო შენ ჩემი დარდი...
 სულ თვალწინ მიდგას შენი ხატება,
 სულ თავს ვიტყუებ, რომ შეგიყვარდი!

რა ამაყი ხარ, რა უკარება,
 მე ეს მაღონებს და თან მიზიდავს,
 გულს ვერ მოგიღობს ეს აღსარება,
 ამდენ ტკივილებს ნეტავ რა ზიდავს!

შენ ჩემთვისა ხარ ვარდი წინანდლის,
 წინანდლის დილა, წინანდლის შველი,
 გადაკარება დღის წვიმიანის,
 მაგრამ ვაი, რომ ვერას მიშველი!..

2000 წლის 8 ოქტომბერი.

რუსული სიმღერა

გაგრეცხავ ჩემს სალდათის
 ტალახიან ჩექმებს
 ინდოეთის თბილ ოკეანეში!
 მერე კარგად დავლევ
 და დავაყოლებ ბანანს...
 შავთვალა ლამაზმანებს ჩავაცმევ
 ყვავილებიან სარაფანს,
 ინდუს კაცებსაც დავალვინებ
 რუსულ არაყს
 და ძალით ვამღერებ:
 “გაუმარჯოს მესია რუსეთს,
 რომელმაც თავი გადადო
 ჩვენი გულისთვის:
 უთვალავი ტანჯვა გამოიარა,
 აურაცხელი მსხვერპლი გაიღო,
 ერთი ოკეანე სისხლიც დაღვარა,
 ოღონდ ჩვენთვის მოეტანა
 თავისუფლება და კეთილდღეობა!”.

2001 წლის 18 იანვარი.

* * *

ქალაქის
ქუჩაში
ქვაფენილზე
ქემპრომი
ქალაჩუნა
ქაქანა
ქეზული
ქეში
ქვენა
ქარი
ქრის,
ქვეშქვეშურად
ქირქილებს:
"ქათქათა
ქუდს
ქურდულად
ქორიდან
ქვაფენილზე
ქაჯური
ქროლვით
ქვევითკენ
გავაქრობ"...

2001 წლის 18 ივნისი.

* * *

სიბერეში ხშირად მახსენდება დედა...
მისი თბილი ხელები,
მისი თბილი მზერა...
მამა?
მამა თითქმის არ მახსოვს:
დიდ ომში დაიღუპა,
სადღაც ქერჩსა და ტამანს შუა,
შუა ზამთრის
ყინულოვან წყალში...
მაშინ ხუთი წლისა ვიყავი.

2002 წლის 5 აგვისტო.

თოვდა...

თოვდა...
შენი ხელი თრთოდა
და ტუჩები კრთოდა,
როცა ჩვენი ტუჩები
ერთი და იმავე ფანტელის
დაჭერას ლამობდა...

2002 წლის 5 აგვისტო.

მთვარე და მტკვარი

მთვარე და მტკვარი,
 მტკვარი და მთვარე:
 ერთი – პირსავსე
 და მშვენიერი,
 მდოვრედ მიცურავს
 ღრუბელთა შორის,
 ჩუმი ღიმილით
 დასცქერის ქალაქს...
 მეორე – სწრაფი
 და დაკლაკნილი,
 ხმაურიანი,
 დაუდგომელი,
 ირეკლავს მთვარეს
 და ეუბნება:
 “მიყვარხარ ძლიერ,
 უნდა ჩაგყლაპო
 და ჩემს სტომაქში
 ნობათი
 თევზებს მივართვა”.

2002 წლის 6 ივლისი.

* * *

სადაური მე ვარ პოეტი?
 ხან – სტრიქონ-ცრემლთა დანაჟური...
 ხან – სტრიქონ-ცხენთა თქარათქური!..
 ხან – ჩაგძახი გმირთა საფლაგებს...
 ხანაც – გადაგდივარ მაღაყებს!..
 და სადაური მე ვარ პოეტი?

2004 წლის 30 დეკემბერი.

გელი...

გელი...
 რას გელი?..
 მზის ამოსვლას...
 ნათელ დღეს..
 გელი:
 მცირე სიამეს
 და უზარმაზარ დარდს...
 გელი ჩემი ბიჭების დაქორწინებას...
 შვილიშვილთა მოფერებას
 (ვაგლახ, როდის?)...
 გელი:
 ძველი ავადმყოფობების
 ჩვეულ შემოტევას,
 ახლების – “აფთარივით მოხტომას”...
 ოთხი წიგნი მაქვს მზად გამოსაცემად,
 კიდევ რამდენიმე – თითქმის მზად...
 გელი:
 სანამ საბოლოოდ
 ქუდს დავიხურავდე გამოსამშვიდობებლად,
 კიდევ რამდენიმე დაწყებული წიგნის
 დასრულებას მოვასწრებ...
 მერე?
 გელი:
 მოვა გელი საბაგელი –

ღამე ბნელი...

2005 წლის 5 აპრილი.

* * *

ღურჯმა ღამემ გამოფინა
მთვარის თეთრი ბაირალი,
მას შევეურებ, მეჩვენება:
იქაც არის სვედის ბაღი...

2005 წლის 30 ნოემბერი.

პოეტი მთვარიან ღამეს

საგსე მთვარე –
კაცის თავისქალა...
თუ ქალის?
აბა, ცოცხალივით
რატომ იღიმება ირონიულად?
“გაი, თქვე ჭიანჭველობო, –
აღბათ ფიქრობს, –
ჩირთიფირთობთ, ვაინაჩრობით
მიათრევთ წუთისოფლის გზაზე
ბედის ეტლს:
ხან – ჭრიალას,
ხან – ლაფში ჩაფლულს,
გაჭედოილს ეჭიდავებით...
იშვიათად –
გაჭენებულს მიაქროლებთ!
და ერთხელაც არ ამოიხედავთ ზევით,
ცას არ დააკვირდებით...
მხოლოდ ცეტი პოეტები
მონახავენ ამისთვის დროს
და მგლებივით
ხარბად გლეჯენ და წეწენ
უცებ ნადირივით მოვარდნილ
შთაგონების ცინცხალ წყაროს, –
მთვარიან ღამეს, –
ოღონდ პატივმოყვარეობის
ჭია გაახარონ...”.

2008 წლის 25 თებერვალი.

ივლისის ღამე

ვარსკვლავებს ვუმზერ...
ღვინისფერ ღამეს
ღუნღულა მხრებზე
მოვხვიე ხელი,
ყურს ჩავჩურჩულე:
"მე შენ მიყვარხარ!".

2011 წლის 20 ივლისი,
ღამის 3 საათი.

პოეზია და მათემატიკა

ბჭობა: სად – პოეზია
 და სად – მათემატიკა?
 გაღიმებული გალაკტიონი:
 “ნუ დათვლი მარცვლებს
 და კოჭლი ლექსი გამოგივა,
 ზეცაში ვერ აიჭრება!”.
 გამახსენდა:
 ტუპოლევი ანდრია,
 ავიაკონსტრუქტორი, ამბობდა:
 “თუ თვითმფრინავი
 ლამაზი არ არის,
 სიცოცხლე არ უწერია –
 ვერ გაფრინდება!”.

2011 წლის 20 ივლისი,
 დამის 4 საათი.

მესიზმრება...

მესიზმრება –
 იალქნები,
 მესიზმრება –
 ჩიტის ფრთები;
 მესიზმრება –
 ზღვის ტალღების ტყლაშუნი,
 მესიზმრება –
 ტყის ბილიკი მუხის ტევრში,
 მესიზმრება –
 მთის წვეროზე
 არწივივით
 წამომჯდარი მზე...

2011 წლის 29 ოქტომბერი.

მარადი თემები

პოეზიის მარადი თემა – ქარი!
 პოეზიის მარადი თემა – ქალი!
 ასეთია ამ ლექსის დასაწყისი, –
 ორი სტრიქონი...
 შემდგომ კი –
 ყველა თავისუფლად გააგრძელებს,
 ყველა – თავისებურად!
 პოეზიის მარადი თემა – ქალი!
 პოეზიის მარადი თემა – ქარი!..

2011 წლის 16 დეკემბერი.

რაჭაში

ჭრებალოში,
 ჭრელ
 ჭალაში,
 ჭარმაგი
 ჭადარი
 ჭრიალებს,
 ჭმუნავს:

ჭორფლიანი
 ჭროდათვალება
 ჭაბუკი –
 ჭიჭიკუნა
 ჭელიძე –
 ჭრის,
 ჭრის...
 ჭალაში
 ჭახანი
 ჭექს...

2012 წლის 27 თებერვალი.

ღვინობისთვის ღამე

ღიღილოსფერი ღამის ღიმილი
 და
 ღუნღულა ღრუბლის ღუღუნი...

2012 წლის 15 აპრილი.

ანანური

გოგო:
 – ანანური ბაღჩა-ბეჭეღია!
 ბიჭი:
 – არა, ორბის
 ან არწვის ბუდე!

2012 წლის 2 ივნისი.

ბანალური ლექსი

ჩემს საძინებელ ოთახში
 საათი წიკწიკებს
 და დილით,
 ყოველი გაღვიძებისას,
 ყოველ მოძრაობას წამის ისრისა
 მიაქვს
 ჩემი სიცოცხლის ნაწილი –
 წვეთ-წვეთად...

2012 წლის 3 მაისი.

ლექსები რომანიდან
 "ია ანუ ერთგულება"
 (2002 წ.)

მე

მე...

ვინ ვარ მე?

ეს ჩემთვის ყველაზე ძნელი კითხვაა...

არადა, თითქოს ყველაზე კარგად
 ჩემს თავს ვიცნობ თითქოს!

ცნობილია:

ძალიან ახლოს რომ ხარ

რაიმე საგანთან,

მისი მთლიანობაში აღქმა

ძალიან ჭირს ან შეუძლებელიცაა.

ასევეა ყოველი ადამიანიც:

საკუთარ თავს ძნელად შეიცნობს,

ჯობს, სხვებმა თქვან

მის შესახებ რამე –

ერთმა, მეორემ, მესამე...

და მაშინ იქნებ

ოდნავ მაინც გამოიკვეთოს

პიროვნების კონტური.

ვინ ვარ მე?

ეს კითხვა დაბადებიდან

არ მასვენებს

და ის აწუხებს ყოველ სხვა ადამიანსაც...

ვინ ვარ მე?

მე მდილი ვარ,

ულიმღამო, უჩინარი, უწყინარი

და მე ღმერთიც ვარ:

ამოვატრიალებ დედამიწას,

მოვარეს უბეში ჩავისვამ,

ვარსკვლავებს ასკილივით მოვკრეფ

და ხელისგულზე

ციცინათელებივით დავიხვავებ...

ზღვაში ზვიგენის ზურგზე გავიზრდები,

ცაში არწივს წავართმევ ფრთებს,

მიმქროლავი რაში რიჟრაჟს შემასმევს,

ველებს მივეალერსები ხელის გადასმით,

ნიკორასავით წამოვწევი

და

ქედებზე მოვიფხან ზურგს, –

აი, ვინ ვარ მე!

და მაინც... ვინ ვარ მე?

ცოდვილი თუ წმინდანი,

მოკვდავი ხორცი თუ მარადი სული,

წყლის წყნარი წვეთი თუ

უსაზღვრო ოკეანე?

ვინ ვარ მე, ვინ?

ერთი მბჟუტავი სანთელი

თუ მძლავრად მოგიზიგზე მზე?

ველზე ნიავისგან მოცახცახე

ციცქნა ბაღახი,

თუ უსიერ ტევრში ფესვადგმული

უტეხი მუხა?

ხან – მფლობელი და გამგებელი

ზღვისა და ხმელისა,

ცაში ავარდნილ-აფრენილი
 სიხარულის ყიჟინით,
 ხან – უპოვარი, გლახაკი მათხოვარი,
 ქვესკნელს დამარხული და უჩინარი...
 ვინ ვარ მე?
 ვინ ვართ ჩვენ?
 აღმშენებელნი?
 დამანგრეველნი?
 კეთილნი?
 ბოროტნი?..
 გაგძახი სამყაროს,
 ჩაგძახი საკუთარი სულის ქვევრსაც...
 და ყოველი მხრიდან
 ათასი ექო მპასუხობს:
 "არ ვიცი-ო-ი... ვიცი... ვიცი...".

1997

მწუხრი

გსხედვართ ოთახში ორნი ჩუმად
 და ვიყურებით ფანჯარაში...
 მწუხრია...
 მწუხარე გაყრა დღისა და ღამის,
 თუ პირიქით – ნაზი შეყრა მათი...
 მზე – ცის ბრდღვიალა თვალი –
 დაგვემშვიდობა რა ხანია,
 დღე – თეთრი მტრედი –
 ნელ-ნელა იკეცავს ფრთებს,
 ღამე კი – შავი ყორანი –
 პირიქით, ფართოდ შლის,
 გადააფარებს გარემოს...
 მწუხრია...
 გსხედვართ ოთახში ორნი ჩუმად
 და თვალებით ვისრუტავთ გარემოს...
 ჯერ კიდევ გაარჩევ: სულ ახლოს
 ალგები ასხმარტალეებენ უხმოდ ფოთლებს,
 იმის იქით –
 ჟანგისფერი გორები წყნარად იტალღებიან,
 ზედ შეფენილი ეზოები, სახლები, ხეები
 ნელ-ნელა ითქვიფებიან ბინდში;
 ცა მუქდება...
 ემშვიდობება ნათელს
 სულიერი თუ უსულო –
 მშვიდად, უშფოთველად...
 თაღხი ეფინება მთა-ველს...
 და უტყვი სევდით ივსება სული –
 და სიამითაც...
 მწუხრი...
 კიდევ რამდენი
 კარგი სიტყვა
 გვაქვს ქართველებს:
 ჭირნახული, მრავალჟამიერი,
 წუთისოფელი, ციციანათელა...
 თითოეულზე ლექსი დაიწერება!

რას მეთამაშები, ვარსკვლავო?

ძილის წინ
 ჩემს ფანჯარაში
 ერთი ვარსკვლავი იჭყიტება...
 თვალს მიპაჭუნებს,
 გუფურებს,
 მიყურებს...
 რა უნდა ნეტავ?
 რას მეთამაშები, ვარსკვლავო?
 შენ ხომ ძალიან, ძალიან შორს ხარ,
 ისე შორს, რომ წარმოდგენაც მიჭირს...
 და მაინც
 შენ ჩემი ვარსკვლავი ხარ,
 იმიტომ, რომ
 ამ წუთას ამოგარჩიე
 და მხოლოდ მე გიყურებ ალბათ
 მთელ ქვეყნიერებაზე...
 ჩვენ ერთმანეთს ვესაუბრებით – მზერით,
 აქამდე არ გიცნობდი, ჩემო ვარსკვლავო,
 ბევრი სხვა კი გიცნობდა ჩემამდე:
 აგწერეს კიდევც, ზომა-წონა, სიდიდე
 დაგიდგინეს,
 ვარსკვლავთა კატალოგში აღგილიც
 მიგიჩინეს –

მოგცეს ნომერი,
 სახელი კი ალბათ – არა,
 რადგან არც ისე კაშკაშა ხარ,
 რომ საკუთარი სახელი დაიმსახურო...
 ცივად ციმციმებ,
 თუმცა, შესაძლოა,
 რამდენიმე მილიონი გრადუსით
 იყო განურბული

ცელსიუსით...
 ცეცხლის ბურთი ხარ ალბათ
 და მხოლოდ იმიტომ
 არსებობდი და არსებობ
 მილიონობით წელია,
 რომ ახლა, როცა არ მეძინება,
 შემოგეჭყიტა ფანჯარაში
 და მე, –
 ერთი ატომი უსასრულო სივრცისა, –
 გაგეხალისებინა...
 და დაგფიქრებულიყავი:
 რა პატარა ვარ და საცოდავი,
 ერთი ციდა,
 ჩემი თვალები კი იტევს
 ცის ცარგვალზე მოციმციმე
 პატარა ვარსკვლავს, –
 ჩემს ვარსკვლავს...
 რამდენი ფიქრი დაგესევა,
 როცა ცას შესცქერი,
 ყველაფერი რომ აღწერო,
 მრავალი დიდი ტომი დაიწერება,
 ფილოსოფიური უსასრულო პოემისა...
 აქ შეგჩერდები, თორემ
 უსაშველოდ გრძელი ლექსი გამომივა,
 მე კი დილით ადრე უნდა ავდგე,
 ალიონის ეტიუდი უნდა გავაკეთო,
 სხვა ათასი საქმეც მაქვს დიდ-პატარა...
 ამიტომ დაგემშვიდობები
 და მადლობას შემოგწირავ,
 რომ არსებობ და ანათებ,

ჩემს სულში მრავალ ფიქრს აღძრავ
 (განდიდების მანიით შეპყრობილთათვის
 უებარ წამლად ივარგებ!)...
 თვალები მელულდება...
 მე ვიძინებ,
 შენ კი განაგრძე შენი გზა, –
 სანამ ლექსს ვთხზავდი,
 დედამიწა შემოტრიალდა რაღაც კუთხით
 და შენ ფანჯარას გასცდი –
 ახლა სხვა ვარსკვლავი
 მიპაჭუნებს თვალს...
 მშვიდობით!..

უძილობისას

ღამეა ჩემი სატრფო...
 არცერთს არ გვიძინავს –
 შავტუნა ღამე ნაზად მიღიმის
 და მეჩურჩულებს:
 – ნუ ფიქრობ ბევრს...
 მაინც ვერაფრით ჩამწვდები,
 რატომღა იწვალე თავს?
 მე ისეთი ვარ,
 როგორც გგონია, რომ ვარ...
 მე ვარ იდუმალი
 და ამით მიმზიდველი,
 რად გინდა, ვითომ ამოხსნა
 ჩემი ხიბლის საიდუმლო
 და ჩემზე გული აგიცრუვდეს?
 დე, ვიყო შენთვის
 მარადის შეუცნობელი
 და სანატრელი მიჯნური...
 მომენდე: ზოგჯერ
 ზედმეტი ფიქრი
 სიტკბობას აფერმკრთალებს!
 მართალი ვარ,
 ვარსკვლავებს ვფიცავ...

მშვიერი ღამე

მშვიერი ღამის ღრმა ფულურო
 უღონოდ დმუის, –
 გაღივებულა ვარსკვლავები
 და გაღადღადებულნი იღიმებიან...
 მათი შარავანი –
 ჩუმი შუმი შუქი,
 შიმშილით გაშავებული ღამის
 ღრუს ღრდნის;
 კაშკაშა შიშველი მნათობნი
 უსასრულო მღვიმის სიდრემში
 დულუნებენ:
 “ჩვენ, ვარსკვლავები,
 ვართ ოქროს დიდები
 მოღუშული ღამის
 ღოღნაშოსფერ კაბაზე”...

პესიმისტური

სულთ, დაჭრილთ ხოხობთ,
 ბარდებში შეფარებულთ,
 გულთ – მუჭში მომწყვდეულთ,
 ბელთ – ეულთ, წყეულთ,
 ფიქრთ – ჩიტო გალიაში,
 ფუჭად ჰქნევ იმედის ფრთებსა,
 სულთ – შენ მოგიკვდა რაში, –
 შიშის ნემსით დარდებს კემსაგ...

ღალატი – ღალატია ყოველთვის!

ძველების სიბრძნე გვასწავლის:
 სიმართლეს იცნობ ბნელადა –
 შენ რაც ნათელი გეგონა,
 თურმე ყოფილა ბნელადა...
 და პირიქით!

დღეს რაც კეთილად მიგაჩნდა,
 ხვალე გამოჩნდა ცუდადა,
 შენ რომ გეგონა ვაჟაკაცი,
 თურმე უვლია მრუდადა...
 და პირიქით!

ადრე ნაგმობი სიმკაცრე
 მერე ჩანს გამართლებული,
 სირბილე, ახლა რომ მოგვწონს,
 ბოლოს არ არის ქებული...
 და პირიქით!

მაგრამ უნდა ვთქვა გამწყვრალმა,
 მოცდისთვის აღარ მცალია:
 გამცემი არის გამცემი,
 უნამუსოა ძალიან,
 ღალატი ღალატად რჩება
 დღეს იყოს თუნდა ხვალია!

ამ ჭეშმარიტსა სიბრძნესა
 არასდროს გასდის ყავლია,
 საუკუნეებს გაუძლო,
 როგორც ხევის კლდე სალია, –
 ვინც სიკეთის გზას იფიწყებს,
 ვაჰ, მისი ცოდო-ბრალია!

ცხოვრების ცხარე ცხენი

ბელაური წლები ჭენებ-ჭენებით
 მიილტვიან უსასრულობისკენ,
 შენც მიჰქრისხარ ერთ-ერთის
 დღეთა ფაფარს ჩაფრენილი!
 ადრე – ომახიანი შეძახილებით აფიცხებდი,
 ახლა – მისი მარადი დაუდგომლობა
 გაკრთობს!..

ერთი მოჭიხინე წელი კი მეორეს მისდევს, –
 დაუსრულებლად,
 დაუნდობლად,
 დაუდევრად...
 წლის ბოლოს კი – ერთი ნახტომით,
 როგორც ცირკის მოჯირითე მხედარი, –

ერთი დავარდნილი ცხენიდან
 ახალშობილზე ისკუპებ ხოლმე...
 ასე გარბიან წლები-ცხენები,
 თანაბრად,
 ნარნარად,
 შენთვის კი –
 სულ უფრო სწრაფად და სულსწრაფად:
 რა მალ-მალე იცვლი წლებს-ცხენებს!..
 უფრო და უფრო გიძნელდება
 მორიგი წლის მოხტუნავე ზურგზე შერჩენა,
 შემოდგომის ფერმიხდილი ფოთოლივით...
 და არ იცი –
 რომელი წელი-ცხენი ჰყრის ტლინკებს უცებ,
 მკვეთრი მაღაყით ყალყზე დადგება
 და გადმოგაგდებს შეუბრალებლად...
 მოადენ ზღართანს მიწაზე,
 თუმც ალარც ტკივილს იგრძნობ,
 ალარც – სინანულს,
 თვალებში სხიგჩამქრალი...
 მხოლოდ სხეებში დატოვებ სინანულს:
 თუ ნიჭი გქონდა –
 სიყვარულის
 ან
 სიბრალულის....

მარტი

წამოგვეპარა გაზაფხული ღურჯთვალემა,
 მწვანე კაბას შიშველ ტანზე იცვამს,
 მზეს უცინის, ყველაფერს ეალერსება...
 ქარი უწეწავს ხეთა თმებს –
 გარბის, გარბის მოუთმენლად,
 შიშველი კანჭები ანათებენ...
 ხან – თოვლშერეული წვიმით ამღერდება,
 ცისარტყელას დაიბნევს გულზე,
 ხან – ქარაშოტად ცეკვა-ცეკვით,
 დაველურით
 დაუგლის-გადაუგლის მთა-გორებს...
 ხან – ალერსიანია, მზრუნველი,
 ხანაც – ავი, კაპასი დედინაცვალივით:
 ზამთრის გამონაცვალ კაბას ჩაიცვამს,
 ანჩხლობს და ნიაგქარობს...
 “გაგიჟდა ეგ ოჯახქორი!” –
 ქოქოლას აყრიან:
 ხან – ნადდი თოვლის ნამქერს წამოუშენს,
 ხან – ატმისა და ყვავილთა თოვას!

წვიმა-მაწანწალა

ფენაკრეფით მოიპარება წყნარი წვიმა...
 წინდაწინ ქარის წუილს წაიმძღვარებს,
 წამში წამოწინწკლავს,
 წამოჭორფლავს წერტილებით მიწას, –
 უსირცხვილო, უნიფხვო მაწანწალა-წანწალა:
 წვიგმაღალი, წელწვრილი, წერწეტა;
 იწვეს წარბებს, წრიალებს,
 წინამასწარა წაიმეტიჩრებს, –

წამოიწვიდის წვრილ-წვრილ ჭავლებს,
 უცებ გაწიწმატებული წივილით წამოშენს,
 წყება-წყება წაუთაქებს სახურავებს,
 წაიბუტბუტებს-წაიბუზღუნებს: “მწადია,
 წაგლეკოთ!”
 წაეთამაშება, წურწურით იწმანება
 ხეთა რტოებში,
 წარამარა წეწავს, წიპურტებით
 წაკინკლავდება ბალახებთან,
 გზაში მგზავრებს ვისაც კი
 წააწყდება-წაასწრებს,
 წაეხუმრება –
 წუწავს წაღმა-უკუღმა უწესოდ,
 აწუწუნებს მხრებაწურულებს, შეწუხებულებს...
 მეც ვწუხვარ:
 ერთ წამში წვიმა შეწყდა...
 წაეხირა,
 წაეხეტა...
 წერას ვწყვეტ:
 სადღაც
 წკანწკარებს
 წვეთების
 მრა-
 ვალ-
 წერ-
 ტი-
 ლი...

2000 წლის 11 ივნისი.

აღვა

აზიდულა აღვა სერზე,
 როგორც კოსტა ბიჭი ცერზე, –
 არც კი უფიქრია მაღვა
 და რტოთ მოშრიალე ტალღამ
 არ იცის, რა არის დაღლა.

ტანკენარო ტურფა აღვაგ,
 აღბათ გენატრება გავლა, –
 გადახვიო ხელი ტირიფს,
 უშენობით შორით ტირის...

მოწყენილი ქუჩა

შუადღეზე მოწყენილია ცარიელი და
 წყნარი ქუჩა:
 არ ახარებენ თვალს მოკისკისე ქალიშვილები,
 არც ხელჩაკიდებულ პატარებს
 მიაჩანჩალებენ დედები,
 არც ყმაწვილები დააგელვებენ ყიჟინით
 ველოსიპედებს...
 უცებ ვიღაც უზრდელი ისვრის ფანჯრიდან
 გამოსრულ ძვალს.
 საიდანღაც იმ წამსვე გაჩნდა ორი
 ფერდებშეგარდნილი ძაღლი:
 ერთი – შავი და მეორე – თეთრი
 (თითქოს დღე და ღამე შეხვდნენ ერთმანეთს).

ორივენი იმ ძვალს მივარდნენ და, ცხადია,
 ვერ გაიყვეს,
 მერე, მიხვდით ალბათ, ერთმანეთს ეცნენ
 გააფთრებით...
 და მოწყენილი ქუჩა აღარ იყო
 ცარიელი და უხმაურო, –
 დადგა მტვრის ბუდი და სიჩუმე
 ღრენამ გაფხრიწა!
 მაშინვე გაიმართა თავების გამოფენა:
 ფანჯრებში გამოჩნდნენ ცნობისმოყვარე თვალები
 დიდთა და პატარათა, ქალთა და კაცთა, –
 სახლთა კედლები ჩარჩოებში ჩასმული
 პორტრეტებით გაივსო.
 შემთხვევამ ჩვენც გადმოგვიგდო
 გასართობი ძვალ-სანახაობა,
 რომელიც, ძაღლებისგან განსხვავებით,
 ყველამ ძმურად გავინაწილეთ,
 ჩხუბი არ მოგვსვლია და იქნებ ამიტომაც
 მოწყენილი ქუჩა ისევ მოწყენილად დარჩა...

ორღობის სასწაული

ღობესთან წინ წაწეული,
 ვხარობ ტოტით მოწეულით:
 ყვავილების ძოწეულით
 ნაკვერჩხლებს ჰყრის ბროწეული!

ცეცხლთან

ცახცახებს ცეცხლი ცოცხალი,
 ცინცხალ ჩინჩხლებს ჰყრის ჩქარ-ჩქარა,
 ალი – ალქაჯი, ალმასი,
 დაუღაჟა ღრჯოლი თაკარა, –
 ჩიფჩიფებს ვნებით დამთვრალი
 კუნძს ჩახვეული აფთარი:
 “მოგსპობ,
 მოგაშთობ,
 ცას შეგაბოლებ!”
 რაც უფრო ავობს,
 მით უფრო მათობს!

ლექსის ლექსი

რა არის ლექსი?
 რაღაც ფაფუკი, თბილი, ალერსიანი არსება?
 თუ გულის ტკივილი, მწვავე ჩხვლეტა მკერდში?
 დღის კისკასი კისკისი,
 თუ ღამის ჩუმი ღმუილი?
 იქნებ – ღამაზი ღრუბელი, ჩამავალი
 მზით ოქროდაფერილი?
 ან შესაჟუნა წვიმის ხალისიანი
 სიმღერა სახურავებზე?
 თუ მწვანე ბალახზე აბრჭყვიალებულ
 წვიმის წვეთში
 არეკლილი ცისარტყელას ხიდი?
 წვეთია თუ ოკეანე?
 ლექსი შენ თვითონ ხარ, თუ –

სამყაროს უსასრულობა?
 ბუნდოვანება, ბინდი, ბურუსი,
 თუ გამოკვეთილობა, ნარნარი სილუეტი,
 მკვეთრი კონტური?
 ლექსი – ფიქრის იალქანი?
 გრძობის უხილავი მდინარება?..
 ვინ იცის, რა არის ლექსი?
 ყველამ იცის და – არც არავინ!
 ლექსი არის ყველაფერში,
 ლექსი არის უპირველესად შენში,
 და თუ ის შენშია,
 ის არის ბალახებში გაკვალულ ბილიკშიც,
 ცაში ეულ ბატკნად მობალახე
 ღრუბლის ქულაშიც,
 ბაგშვის გულდია ღიმილშიც
 და გველის გასრიალების თავზარდამცემ,
 ელეგანტურ მიმოხრაშიც...
 ლექსი არის უცხო ჩიტი,
 უცვრად სულში საიდანდაც მოფრენილი,
 ხანაც –
 საკუთარ სულის თონეში გამომცხვარი
 თბილი პური!
 უცნაურია ლექსი!
 ხან ყოფიერების ნაცრისფერ უდაბნოში
 მოულოდნელად ოცნების ნაზ ყვავილად
 ამოიზრდება,
 ან ღროების ზანტი მდინარებიდან
 ჰაერში ამომხტარ
 სიხარულის ვერცხლისფერ კალმახად
 ასხმარტალდება
 და გულს წამიერად აგიჩქროლებს...
 ალბათ ლექსი მაშინ არის ლექსი,
 როცა მასში არის
 სიყვარულიცა და სიძულვილიც,
 ტკივილიცა და შეებაც,
 გოდებაცა და სიმღერაც,
 ხუმრობაში გამოსჭვივის ცრემლი
 და გლოვაში – იმედი...
 ღიას, ყველაფერს,
 რაც გულს მოხვდება,
 პოეზიის მაღლი აცხია!

გამარჯობა, მზეო!

გამარჯობა, მზეო!..
 დიდება შენს ამობრძანება-ამობრწყინებას!
 მზეო – ლოყაწითელო, ღაჟღაჟაგ,
 კეთილად მოღიმარეგ, კისკისაგ, გიზგიზაგ, –
 ელვარე, მხიარული თვალით ამოიჭყიტაგ,
 მგზნებარე მზერით გადმოხედაგ გარემოს,
 თბილი სხივებით ჩაეხუტები,
 ულევ ოქროს მოაბნევ არე-მიდამოს...
 და რა ზღვა სიხარული მოეფინება ყველგან!
 ყველას საპასუხო ღიმილით უნათდება სახე,
 როცა ცაზე ამობრწყინებულს გიხილავს!
 თუმცა, შენს ბრიალა თვალს მზერას
 ვინ გაუსწორებს! –
 ირიბად გაგხედავენ
 და უხარიათ, რომ ხარ!
 და ხარ ღიმი, ნათელი, თბილი, ტკბილი,

თვინიერი, უშფოთველი, დიდებული, ნეტარი,
 ზოგჯერ – მცხუნვარეც;
 მთელი დღე ფრთამოუღლეადად
 აღმოსავლით დასავლისკენ ილტვი,
 ტრიალ-ბზრიალით მიგორავ,
 ბაჯაღლო ბორჯღალოვ!
 უზომოდ ცნობისმოყვარე ხარ,
 მთლიანად კაშკაშა თვალად ქცეული –
 ყველგან მოაფათურებ ალერსიან
 ხელებს-სხივებს,

სად არ იჭვრიტები:
 ტყის უთვალავი კუნჭული უნდა მონინახლო,
 ხვრელ-ნაპრალებში უნდა ჩაძვრე,
 მთა-ველი მიათვალაიერ-მოათვალაიერო,
 წყალშიც ანცად იჭყუმპალავო –
 მდინარის ფსკერზე ნაირფერი კენჭები თვალო,
 ზღვაშიც არაფერი დაგჩრეს
 ფერ-გემოგაუსინჯავი –
 თევზთა ქერცლის ვერცხლი
 თუ მარჯნის ძოწი...
 ცელქი ბავშვივით გახალისებს ყველაფერი,
 რაც ბზინავს, ბრწყინავს,
 თვალს ახარებს
 (ისევე და ისევე შენით!), –
 ყველას გინდა კეთილად გაუღიმო,
 მიეფერო, აკოცო;
 სხივად დაახტები მხიარულად –
 და ცქვიტად ისევე ახტები-აირეკლები ბურთივით,
 თვითონ ბურთო;
 დაჰგზავნი მოთამაშე-მოთამამე-მოლიველივე
 წყლის სარკიდან
 თუ ყოველი კრიალა ზედაპირიდან
 ცქრიალა ცინცხალ ათინათებს...
 გიყვარს – სიცილი!
 გიყვარს – ალერსი!
 გიყვარს – თამაშ-სიმღერა!
 ცეკვა-ცეკვით მიგორავ,
 ტრიალ-ბზრიალით მიბორჯღლიალობ, –
 ყოველთვის სავსე, კმაყოფილებით მაძღარი,
 მარად მოუსვენლად მიილტვი,
 ყველგან სიხარული მიიტანო!..
 რამდენი შენი სხივების მადლით
 ავსილ-გაზრდილი

გბაძავს შენ –
 ფორმის სრულყოფილებაში,
 ფერის სიმცხუნვარეში:
 ფორთოხალი – ვარვარა ბურთი,
 პომიდორი – ოქროს ვაშლი,
 ხურმა – გემრიელი, ტკბილი შენსავით –
 თაფლის ძუძუ

(მიყვარს ძალიან!),
 ონტკოფო – ხარბია, ორმაგი მზეა,
 დიდის შიგნით პატარაც დამალულა,
 ცუბრუმელა!
 მზეო, კვერცხის მფეთქავი გული ხარ,
 გადმოღვრილი ცის ლურჯ ტაფაზე!
 შენ კაშკაშებ გვირილის გვირგვინში,
 ბრიალებ მზესუმზირის წამწამებში,
 ზაფრანა ხომ შენი სურნელით
 გვათრობს-გვზაფრავს!
 პეპლების ფრთებზე ბრდღვიანლებ,

ფარშევანგის კუდზე ცისარტყელურობ!..
 მზეო – რჩოლია, წითურო ბუღავ!
 მზეო – მამლაყინწა-მამლაყვეერავ!
 მზეო, შენ ლომი ხარ,
 მძვინვარე, გავეშებული მეფეთ მეფე,
 რომელიც ცეცხლოვანი ღია ხახით
 ნთქავს დროსა და სივრცეს
 და გერაფრით გამძღარა!..
 მზეო, შენ ქალიც ხარ, დედაკაცი –
 ნაყოფიერებისა და სილამაზის,
 სრულყოფილებისა და სიკეთის სიმბოლო!..
 მზეო – ნატერისთვალო!
 მზეო – დოვლათო და ბარაქავ,
 შენი ნაკოცნი აგარდისფრებს
 ატმის ნაზ ლოყას,
 ყოველ თესლში ხარ ჩაბუღებული
 და მერე ათასად, ათიათასად იბარტყებ!
 შენ ქარვის მარცვლად ეკიდები
 რქაწითელის დაგრენილ ტანს!
 მაქსიმ გორკის ნათქვამია:
 “ღვინოში ყველაზე მეტი მზეა!”
 ალბათ ამიტომ გვიყვარს ქართველებს
 სუფრის გაშლა ბუნების წიაღში, –
 მწვანე ბალახზე,
 მოტიკტიკე ნაკადულის პირას,
 გაბარჯღული კაკლის, მუხის თუ
 წიფლის ჩეროში,
 რომ შენც შეგეძლოს, მზეო,
 გამოჭიატდე ხშირ ფოთლებს შორის,
 აკიაფდე მაღლა აწეულ საესე ჭიქაში, –
 შინდისფრად თუ ლალისფრად,
 მაცყლისფრად ან ქარვისფრად, –
 რომ თვალი და გული გაახარო!
 და შემდეგ სითბოდ და სიამედ,
 ტკბილ ჟრუანტელად ჩაიდვარო ჩვენს სხეულში,
 ნეტარებად გაჯდე ჩვენს ძარღვებში,
 აამაღლო, ფრთები შეასხა ჩვენს სულებს!..
 თუ ქარვაშია ყველაზე მეტი მზე?
 ქარვა ხომ ფისი – სურნელოვანი ცრემლია,
 შენი მხურვალე სიყვარულით ოქროსფრად
 ჩამოღვენთილი
 ფიჭვის ხორკლიან ტანზე,
 მერე რომ აღიდებულ-აზვირთებული მდინარით
 გაიტყორცნება ზღვაში
 და იქ განამარხდება გრილ ფსკერზე...
 თუ ზღვისპირა დიუნებზე შემომტევი წყლითა
 და ქვიშით
 დაიფარება წიწვოვანთა წაქცეული ტანები?
 ბოლო მაინც ერთია – ფისი ქარვად
 უნდა გარდაიქმნას
 (ასიათასობით წლის შემდეგ),
 ქარვა კი იქცეს:
 ლამაზი ქალის გულსაბნეევად
 ან ბეჭდის თუ სამაჯურის თვლად,
 საყურედ, გულსაკიდად,
 ან, უკიდურეს შემთხვევაში, –
 დაფხვნილ-გაფიცხებულ-დაწნეხილი, –
 მუნდშტუკად, მძივად, ხშირად კი –
 ქოლგის მოხრილ სახელურად
 და ძნელი გასარკვევია,
 ტურფას ნატიფი ხელი ათბობს

ქარვის სახელურს
 თუ სახელური – ხელისგულს...
 იქნებ ქარვისფერ თაფლშია
 ყველაზე მეტი მზე?
 რა ნეტარი სიამე მოგვიცავს,
 თუნდაც ერთი კოვზის დაგემოვნებით!
 თითქოს მზე ჩაგვედგვრება სულში
 (გინდაც თოვლიან-ბურუსიანი ამინდი იყოს)!
 მზეო,
 სანატრელო გვირგვინოსანო!
 დიდებულო, დიდბუნებოვანო!
 შენ ყველგან ხარ,
 ყველას სულში ანათებ!..
 სიცოცხლის დედა-მშობელო,
 მზრუნველო გამზრდელო,
 რა უხვი ხარ, რა სავსე პირთამდე
 სინათლით, სიკეთით – მაღლით!
 ვისაც კი შეხედვით დაასაჩუქრებ,
 ყველა სითბოთი იმუხტება,
 თვით ხდება პატარა მზე –
 ყველანი შენი შვილები ვართ!
 მზეო,
 დედის ხელივით თბილსა და აღერსიან სხივებს
 გადაგვისვამ ხოლმე თავზე,
 შენ ყველასი ხარ,
 შენ ერთი, ერთადერთი ხარ,
 ვინც ვერავინ წარგიტაცა და დაგიმარტოხელა,
 ვერც მიგისაკუთრა – ვერავინ დაგეპატრონა!..
 აგერ მთვარეზეც კი დაადგეს ფეხი ადამიანებმა,
 ხვალ და ზეგ ვენერასა და მარსის ჯერიც მოვა,
 და დაიწყებენ მათ დანაწილებაზე ზრუნვას;
 შენ კი,
 მარად ცხელ, მფეთქავ გულს სამყაროსი,
 ვერავინ ვერასდროს შეგეხება!
 მხოლოდ შორიდან გეაღერებინან,
 პლატონიურად –
 და ეს არის ჭეშმარიტი ტრფობა,
 გაუხუნარი, მარად ცინცხალი...
 დიან, სიამით გვთანგავ –
 ყოველთვის, ყოველთვის, ყოველთვის:
 როცა დილით რიურაუს თან მოჰყვები,
 მეტე აღმაღლდები ცით,
 აღმობრწყინდები
 მეფური ძლევაგამოსილებით,
 სინათლის ოკეანით დატბორავ ქვეყნიერებას;
 შუადღეზეც,
 როცა მზრუნველად თავს დასტრიალებ
 ყოველ ბალახს,
 თითოეულ მღილს, –
 იზარდეთ!
 იმრავლეთ!
 იხარეთ!
 იბედნიერეთ!
 ყველა ჩვენი ძარღვი შენით ფეთქავს, –
 შენით სულდგმულობს მძლავრი მუხაც,
 მუმლიც
 და ის სიოც,
 რომლის ნელი ქროლვაც
 მუმლს ღრუბელივით მიდენის!..
 და სადამოსაც,
 როცა ნელ-ნელა აიკრეფ დადლილ სხივებს,

დაისი სევდიანად გვემშვიდობება
 ფერთა ხავერდოვანი ზეიმით...
 ყოველთვის საყვარელი ხარ!
 ყოველთვის სასურველი ხარ!
 თვალებს დაგხუჭავ და...
 გგონებ, როგორ ივსება თავი სინათლით,
 სითბოთი იჟღინთება მთელი სხეული...
 რამდენი სიტყვა უძღვნიათ შენთვის,
 რამდენი სიტყვა დაუხარჯავთ შენს ხოტბაში,
 რამდენი ლოცვა აღუვლენიათ შენდამი,
 ყოვლისშემძლესადმი!
 ყველას ღიმილით აუყვავდება სახე
 შენი ხსენებისას,
 ყველა თვითონაც თბება
 შენზე ენამზეობაში, –
 როგორც მე ახლა!
 მაშ, მიიღე მოწყალედ კიდევ ერთი
 ქებათა ქება,
 ოქროსფაფრიანო ლომო!
 ოქროსნაწნავიანო ტუფავ!
 ქვეყნიერების კეთილთ თვალთ!
 სამყაროს მფეთქავთ გულო!
 მზეო,
 სიყვარულო!..

ლექსები მოთხრობათა კრებულიდან “ვემშვიდობები XX საუკუნეს” (2005 წ.)

კარუსელი

ყველას გელით
 ძველთაძველი
 საყვარელი
 კარუსელი:
 აგერ "ლომი" –
 ტახტის მღომი,
 აგერ "მგელი" –
 საძაგელი,
 აგერ "მელი" –
 კუდი გრძელი,
 აგერ "ცხენი" –
 გაგასქელი,
 აგერ ყინჩი
 თეთრი "ყანჩა",
 გრძელკისერა
 "სირაქლემა"...
 ყველა მხეცი
 და ფრინველი
 მოუთმენლად
 მხედარს ელის!
 შემოახტი
 გაუძელი –
 მოეჭიდე
 ორთავ ხელით!
 ისევ ისმის
 ჰანგი ძველი –
 დატრიალდა

კა-
რუ-
სე-
ლი!

წელიწადის დრონი

გაზაფხული

თაკარა მზით გათანგული,
ტირის თოვლი გალახული...
არემარე დახატული:
ყვავილებით მოქარგული
ლილოჭრელო მხიარული –
ცელქობს,
ლაღობს
დაგლურს უგლის!

ზაფხული

რას ითვლის გუგული –
ჩავითქვა სურვილი?
მზის თვალის ბრიალი,
ჩიტების ჟღურტული!

შემოდგომა

აბეზარი დაჰქრის ქარი,
ხეებს უჭირთ ფეხზე დგომა,
ფერად ფოთლებს აფრთიანებს,
აფარფატებს, აბზრიალებს –
ადრეაო თქვენი კვდომა!

ზამთარი

გვეტყერა თავნება,
ზარმაცი მხატვარი:
ერთ ფერად შეღება
წარმტაცი მთა-ბარი!

1997 წლის 23 ოქტომბერი.
2000 წლის 3 იანვარი.

ტაკიმასხარა

რა არის ჩემი ცხოვრება?..
მე ერთი საცოდავი კლოუნი ვარ...
ტიკინა-კლოუნი,
მარიონეტი,
სხვის ხელზე წამოცმული –
სხვისი ხმით,
სხვისი ხელით შეკერილი
ტანსაცმლით შემოსილი:
გადასაყრელად გამეტებული ჭრელაჭრულა
ნაჭრებ-ნაკუწებ-ნაგლეჯებ-ნაფლეთებისგან

შემიკვრეს-შემიჯღანეს უხეიროდ და უხეშად
 ეს ჩასაცმელი – ჯვალ-სამოსი...
 და ვიმანჭები, ვიგრიხები – ვცოდვილობ,
 ხან ვიჯგომები – გენერალივით ვბუხუნებ,
 ხან ვიკუნტები – მათხოვარვით ვღუღუნებ,
 ხან მაღაყებს გადავდივარ,
 მხიარულად ვჭიხინებ-დავხტივარ,
 ხან მოთქმით ვტირი ჩემს

უბედობა-უთვისტომობას...
 და ამას ისე ვაკეთებ, რომ მაყურებელს
 ცრემლს ვადენ,
 ოღონდ სიცილის ცრემლს, არა თანაგრძნობისა.
 მე არ მიხარია – სხვები იჭაჭებიან სიცილით,
 მე ვიციანი – სხვები ტირიან ჩემი საცოდაობით...
 სულ საწინააღმდეგოს ვაკეთებ იმისა,
 რასაც ჩემგან მოელიან:
 “გაუმარჯოს! ადღეგრძელოს!” –
 იმაზე, ვინც დასაგმობ-დასასამარებელია;
 “ძირს ყოყლოჩინა, მეტიჩარა!” –
 იმაზე, ვინც რაღაცას ჭკვიანურს იტყვის...
 იფ-იფ, რა კარგია!
 რა თავისუფალი ვარ!
 შემიძლია, დავტრიალდე,
 ვიცეკვო, ვიბტუნო,
 ხალხს ჩემი სიმკვირცხლე და მოხერხება
 ვაჩვენო, –

ნახეთ, რა კოხტა და ყოველთვის
 გამარჯვებული ვარ!
 ვითომ ვიციანი და გხარობ – ვმასხარაობ...
 თან ვფიქრობ:
 “რა მაცინებს, არ ვიცი!
 სხვის მიერ აშენებულ სახლში ვცხოვრობ,
 სხვის მოწეულს ვჭამ,
 სხვის დაწურულ ღვინოს ვსვამ,
 სხვის დაწერილ წიგნებს ვკითხულობ”...
 დიახ, არცთუ იშვიათად –
 ტკივილი მიჯღანავს სახეს ნიღაბს უკან,
 ზოგჯერ ბოღმაც გამოერევა,
 ერთს ვამბობ,
 გუნებაში სხვას ვფიქრობ:
 “მინისტრს – პანდური!
 ჩემს დამჩაგვრელ ბობოლას – ალიყური!
 ლამაზ, უკარება ქალს – კოცნა!”...
 წარმოსახვით ყველაფრის ვაკეთება შეიძლება!
 ასე დავწანწალებ, ასე ვმასხარაობ...
 და ბოლოს, სიცოცხლის დასასრულს,
 როცა ორმოდ ჩამიძახებენ,
 მიწის დაყრამდე მოვასწრებ
 კიდევ დაძახებას:
 “ხალხო!
 რა კარგია,
 რა ლამაზია ცხოვრება!
 რა კეთილია ცა!
 როგორ ბრძღვიალებს მზე!
 რა გემრიელია ჰაერი!
 დამიჯერეთ!”...

1990 წლის 3-4 აპრილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

აღმაფრენავ, თასით შემსვი,
 შთაგონებავ, ლექსზე შემსვი, –
 ღრუბლებს ზევით გამაქროლე,
 გულის ძვერას ამაყოლე...
 ამიშალე სულში ზვირთი
 და მომხსენი ყველა ტვირთი:
 შაგმდეღვარე მწარე ფიქრი,
 უიღბლობის მწვანე ფითრი...
 მაგრამ ვაგლახ...
 ეს ზმანებები მუნჯი ხელებით
 მჯიჯგინიან, მთელგენ შმაგ გახელებით,
 მერანს მიკლავენ შუბთა ძვერებით,
 გულს მიფატრავენ ხანჯალთ წვერებით...
 “რა დროს ლექსია, ტკბილი სიმღერა, –
 მრუმე დაგჩხავის თავს ბედისწერა, –
 ვერ გაიხარებ, ვერა და ვერა!
 კეთილ მომავლის... შენ ჯერაც გჯერა?”.
 მჯერა!..

1997 წლის 8 ოქტომბერი.

ანარეკლი

სამსახურში მიმეჩქარება –
 ერთი-ორი-სამი-ოთხი!
 აგადმყოფივით უფერულ დეკემბრის დილას
 მაინც ხალისიანად გამოწურავს ზეცა ქუჩაზე,
 ჩემს თვალებშიც ჩაიდვენთება
 მკრთალი ნათელი
 და ეს შუქი და სიცივის ჟრჟოლა
 თითქმის მიმარბენინებს ტროტუარზე –
 ერთი-ორი-სამი-ოთხი!
 მანქანები კი გიჟურად მიჰქრიან ფილაქანზე,
 ღრიალით,
 მიჯრით
 დამდურულელებივით გარბიან...
 ზოგს – ფარები აქვს ჩართული,
 ზოგს – უიმისოდაც უჭრის თვალი.
 და უცებ...
 უცებ პატარა ფინია ძაღლი,
 შავი, შავი, უშავესი,
 აი, ასეთი, პატარა, პატარა,
 ერთი ციდა, მუშტის ტოლა,
 დიდთვალა და დიდყურა, –
 აცკეკდა მანქანების მსბრბოლაგ
 ბორბლებს შორის,
 თვითონაც ბორბალივით დატრიალდა –
 აქეთ ეცა,
 იქით ეცა...
 გაისმა მუნჯელების ხრჭიალი,
 საბურავების შრიალი
 და, რასაკვირველია,
 შოფრების გინებაც...
 მანქანების რემა გაჩერდა,
 ისევ დაიდრა,
 ისევ გაჩერდა
 და დაიდრა,
 ცუგო კი ხტოდა, თავგზააბნეული,
 თითქოს უაზროდ ცეკვაგდა...

დიას, ცეკვაავდა, –
 ისე ნატიფად სკუპ-სკუპობდა
 თავისი წვრილი ფეხებით,
 პატარა, შავი ღილელებით თვალებს კი
 სასოწარკვეთით აქეთ-იქით აცეცებდა...
 მერე დაგეარგე თვალთაგან ცუგო,
 შავი ცუგო ვეღარ გაგარჩიე
 ტალღასავით მოვარდნილ მანქანებში.
 დიდხანს ვიდექი და ველოდი
 მის გამოჩენას...
 არც ტროტუარზე ამოვარდნილა, შეშინებული,
 ვერც ცივ ფილაქანზე დაგლანდე
 უსულოდ გართხმული...
 სად გაქრა შავი ცუგო,
 ყურები რომ კოხტად ჰქონდა დაცქვეტილი?..
 მერე ისევ განგაგრძე გზა სამსახურისკენ,
 უკვე აღარ ვჩქარობდი და ვფიქრობდი:
 “აღბათ გაიღო ერთ-ერთი მანქანის კარი,
 გამოყოფილმა თბილმა ხელმა
 ჩაყვინთა
 ცუგოს მრგვალი მუცლის
 ქვეშ,
 თითებმა ნაზად შემოსალტეს,
 ხელისგულმა აიტაცა ცუგურუმეღა
 და მანქანის მყუდრო ბუნაგში შეიტაცა...
 წამით დამუხრუჭებულმა მანქანამ
 სვლა განაგრძო,
 ისევ მდინარესავით უწყვეტი გახდა
 მანქანათა ნაკადი...”.
 თქვენი ხელი ხომ არ იყო ის?..

1979 წლის 19 დეკემბერი.

მიკვირს!

ერთი რამ მიკვირს:
 რატომ არ არსებობს
 სიყვარულისა და სიხარულის სამინისტრო?
 მე მგონი
 (მგონი კი არა, უეჭველად!),
 ეს უნდა იყოს უპირველესი სამინისტრო
 და ყველა სხვა მინისტრი
 მას უნდა მორჩილებდეს!
 მინისტრად კი დადგეს –
 ყველაზე მშრომელი,
 ყველაზე მცოდნე,
 ყველაზე ბრძენი და
 ყველაზე კეთილი და მხიარული!

1992 წლის 11 აპრილი.

საზამთროს გამყიდველის სიმღერა

დიმიტაური, დამიტიური,
 შაქარ-საზამთრო – ორი შაური!
 მოდით, გასინჯეთ სუფრის მშვენება –
 ალაზნის ჭაღის მზის გახსენება!
 დაჰკრავ დანას და გადიხსნის გულსა,

ნდომით აგივსებს მწყურვალსა სულსა,
 ნერწყვით გაგივსებს გამშრალსა პირსა,
 გადაგავიწყებს ყოველსა ჭირსა!
 თუკი ჩაასვე შევებით ეშვები,
 თაფლია, თაფლი – ვერ შეეშვები!

1994 წლის 9 სექტემბერი.

1995 წლის 14 მარტი.

ირონიული საუბარი საკუთარ თავთან

სიცოცხლე,
 ცხოვრება,
 ბედი,
 საქმე,
 წლები...

გვიან ვწვები.
 მაშინაც ოცნებას ვწვდები:
 მე – მღილი, ლიფსიტა,
 თავნება, თავხედი,
 ოცნებაში

ვატრიალებ
 დედამიწას

ჩემი საჩვენებელი თითის წვერზე!
 ვატრიალებ და ვათვალთვლებ –
 არა როგორც თემურლენგი
 ან ნაპოლეონი,
 არამედ, როგორც დარვინი,
 როგორც ნიუტონი
 ან ჯორდანო ბრუნო...
 ტრიალებს, ბრუნავს,
 ბრუნავს, ტრიალებს,
 მილიონებს ბადებს,
 მილიონებს ატრიალებს...
 მე კი რა მაქვს საქმე?
 დილით ავასწრებ ტოლებს,
 სიმღერას დავასწრებ ტორთლებს
 და მოღზე ფეხშიშველი გავივლი...
 გავივლი გალაკტიონით
 და ვიფიქრებ გალაქტიკაზე...
 მერე აღმომხდება ყივილი:
 “რა ღამაზია სიცილი!..”.
 მერე აღმომხდება კივილი:
 “რა ძნელია ტკივილზე დუმილი!..
 ტკივილი კი ქვეყნად ბევრია...
 შენ კი გადაჰყევი მასხარობას,
 რაღაც სისულელეები გიწერია,
 ველარ გაექეცი ცრუ რაობას...”.

1990 წლის 25 აპრილი.

1991 წლის 16 აგვისტო.

წვიმის სიმღერა

მე წვიმა ვარ!
 გესმის ჩემი სიმღერა?
 წკაპ-
 წკაპ!
 წკაპ-

წკუპ!
 გადავივლი-გადავირბენ
 სველი ფეხების ტყაპუნით –
 ქედებს, ტყე-ველს,
 ქუჩებს, სახურავებს;
 ხეებს უბეებში შევუძვრები,
 გადავამუქებ მტვრიან შარებს,
 მბრწყინავ მარგალიტებს
 გავაბნევ
 ბალახებში...

წვე-
 თი
 წვე-
 თავს:

წვი-
 მა!
 წვი-
 მა!

წკაპ-
 წკუპ!
 მხიარულად დავგლიჯინობ
 ხან – იქ,
 ხან – აქ,
 ვცეკვავ, ვმღერი, ვლაღობ!..
 თუმცა ზოგჯერ ჩაფიქრებულიც ვარ,
 საქმიანად ვხტუნავ;
 ხან კი – გადარეული ვარ,
 გიჟივით მოვარდნილი,
 ქართან დაძმობილებული,
 ქარაშოტთან ხელიხელჩაკიდებული;
 დავეცაკები ყველაფერს –
 მიწას,
 ხეს,
 სახურავს...

დიახ, ზოგჯერ ნაზად გაბმული ნანინა ვარ,
 ზოგჯერ – ჯაზ-ბანდის ღრიალი...
 ხან – თავშეუკავებლად
 ვკისკისებ და ვცეკვავ,
 ხან – თითისწვერებზე მოვიპარები...
 ზოგჯერ ნაღვლიანი, უიმედო და
 სასოწარკვეთილიც ვარ,
 წყნარად ვიცრები ცის საცერში, –
 თვალებს გაგიწყალებთ,
 გულებს გაგიწვრილებთ;
 უფრო ხშირად კი – აღტაცებას მოგგვრით
 ჩემი სილამაზით...
 მიწასაც უხარია – სალბუნად დავედები,
 ჰაერსაც უხარია – სივრცეში
 შვება ეძლევა ყოველივეს!..

. შ. ზოგჯერ წვიმა ისე მოგენატრება,
 რომ ასეთ ლექსს დაგაწერინებს...

1990 წლის 16 ივლისი.
 1991 წლის 13 აგვისტო.

წუთისოფლის წისქვილის დოლაბი

ბრუნავს წუთისოფლის წისქვილის დოლაბი!
 ფქვავს და ფქვავს დაუსრულებლად –

დიდსაც და პატარასაც,
 მდიდარსაც და უქონელსაც,
 ბრალიანს და უბრალოსაც,
 ჯანმრთელსაც და ავადმყოფსაც...
 ტრიალებს წუთისოფლის დოლაბი,
 კაცი რა არის მისთვის, –
 სახელმწიფოებსაც კი დაფქვავს ზოგჯერ,
 ისე წვრილად ჩამოფქვავს,
 რომ მათი ხსენებაღა რჩება მხოლოდ,
 ისიც – ისტორიის სახელმძღვანელოებში...
 ან გახუნებული ეტრატები
 და გაცვეთილი ქვები
 მუზეუმთა ვიტრინებში...
 დაუღლელად ბრუნავს
 წუთისოფლის დოლაბი –
 ფქვავს და ფქვავს,
 ფქვავს დაუღლელად...

1992

ლექსები რომანიდან “ჭადარდიდი” (2006 წ.)

ქარი

– მიჰქრის ჩქარი ქარი-ქალი:
 თმაგაშლილი, გაჩეჩილი,
 ანჩხლი ქალი-ნადვერდალი,
 ხან – სისინა, ხან – მკივანა...
 კაბის კალთას აფრიალებს,
 ღრუბლის ფარას გამორეკავს,
 მთებს მსწრაფლ გადააფრინდება,
 ველთ კვიცივით გადაირბენს...

– აბა, რას ამბობ, ქარი – კაცია:
 დაბანცალებს, აწყდება აქეთ-იქით,
 ედება მთვრალივით ღობე-ყორეს
 და ბლავის თუ მღერის – ვერც გაიგებ!

1993

ვყიდი დღეს!

– ვყიდი დღეს,
 აი, ამ დღევანდელ დილას –
 უშნოდ მოუამულს, მოღრუბულს, ქარიანს...
 დიას, ვყიდი!
 უბემური დღეა –
 აღარც გასეირნება მოგინდება,
 ჯერ კიდევ გაუფოთლავხეებიან ბაღში,
 აღარც მეგობართან წასასვლელად
 მიგიწევს გული,
 და არც ლხინი მოგენატრება
 ამხანაგებთან ერთად...
 დაჯდები, წაიკითხავ რამდენიმე ფურცელს –
 ყველა წიგნი უმარილო გეჩვენება,

უღიმღამო გადაცემებია ტელევიზორშიც –
 ნაძალადევად იღიმებიან დიქტორები,
 მუსიკაც თვლემას თუ მოგგვრის...
 შენც რომ წაუბინო?
 ფუი ეშმაკს! მაშ ღამე
 რისთვის არის გაჩენილი?
 არა, ეს დღე უეჭველად გაყიდვის ღირსია –
 გყიდი, ხალხო! იაფად შეგველევი!..
 – რას ამბობ, კაცო, დღის გაყიდვა
 როგორ შეიძლება?
 ეგ როგორ იფიქრე, შე უაზროვ, შენა!
 თუნდაც – დღევანდელი დღისა,
 ან თუნდაც – ამ დღეზე
 ბევრად უარესისაც კი!
 ყოველი დღე – სიმდიდრეა!
 სიმდიდრეა, განუზომელი და აუწონავი,
 ოღონდ უბედურება ისაა,
 შენ არ იცი მისი ჭეშმარიტი ფასი!
 შეიცან მისი ღირსება და მოიხმარე!
 მხოლოდ შენზეა დამოკიდებული
 მისი შეფასება!
 და დაფასება!
 და შენ გინდა, ის გაყიდო?..
 თუნდაც მილიონად?
 აი, ეს დღე – სამუდამოდ დაკარგო,
 ამოშალო შენი ცხოვრებიდან?
 უგუნურო!..
 კარგად დაფიქრდი!..
 დღის განმავლობაში
 რამდენი ფიქრი მოგეძალება,
 რამდენი აზრი აბზუილდება თავში,
 რამდენ რასმე ნახავ თვალგასახარს!
 რამდენ ადამიანს გაუღიმებ,
 რამდენს ეტყვი გამარჯობას!
 რამდენ საქმეს მოათავებ
 ან თუნდაც დაიწყებ
 (შრომას ხომ არ გაურბინარ?), –
 თუნდაც შინიდან არ გახვიდე
 და ფანჯარაშიც კი არ გაიხედო!
 გინდაც შინ მარტო იყო,
 არავინ გყავდეს დამლაპარაკებელი, –
 რამდენ რამეს გაიხსენებ,
 რამდენ ვინმეს
 წარმოდგენით გაესაუბრებო
 ან თუნდაც გაეპაექრები!
 მაშ, გაახილე თვალები!
 გაიმახვილე გონება
 და დააფასე ეს დღე!
 დააფასე ყოველი სხვა დღეც!..

ხელი

ხელი – ყოვლის შემქმნელი,
 ხელი – ხვალის წამშლელი!
 ხელი – მკვლელი,
 ხელი – მხსნელი,
 ხელი – ცომის მზელი,
 ხელი – მჭამელი,
 ხელი – მჭედელი,
 ხელი – მწყალობელი,

ხელი – მწვალებელი,
 ხელი – ბარღვიანი, ხმელი,
 ხელი – ყანის მშვეელი,
 ხელი – ლექსის მწერი,
 ხელი – ჩუქურთმის მჭრელი,
 ხელი – საფლავის მთხრელი,
 ხელი – ხუთი სანთელი:
 მელი –
 გაფანტოს ბნელი!

1996

ბუხართან

მიყვარს ცეცხლის ყურება –
 და ალის დაღალების
 ცეცხლოვანი თამაში,
 ხელ-ფეხის გახურება...

ბუხრის მომსახურება:
 როცა ღონე ეცლება,
 ალის წითელ ხახაში
 შეშის ჩაჩუნხურება!

1989 წლის 23 იანვარი.

* * *

ზამთარო, თეთრო ყვავილო,
 გადაპენტილო მთა-ბარო,
 ცივი სინათლით ავსილო, –
 მანატრებ ზაფხულს მარად!

ზაფხულო, ფუნჯით ხატულო,
 მწვანედ, ყვითლად და წითლად,
 ცისარტყელაო, მაცდურო,
 ზამთარს მანატრებ თბილად!

1988 წლის 1 დეკემბერი.

დღეთა ნადირობა ადამიანზე

გარბიან დღენი –
 სულსწრაფნი,
 მალნი,
 ჩასაფრებულნი –
 ადამიანზე მონადირენი...
 ჩემი ლექსი-ფიქრი
 ავაზასავით გაიზმორება,
 ალეგორიების ცეცხლოვან
 თვალებს დააკვესებს,
 სადი აზრისადმი ჯანყის ბალანი აეშლება,
 ბანალობის მიწას ბრჭყალით მოფხოჭნის...
 ერთი აიმართება,
 დარდის ხის ხორკლიან ტანს
 ფიცხლად აირბენს
 და ოცნების მოქანავე კენწეროზე მოექცევა!..
 იქ ბრაზიან ტორს გაიქნევს –

ცარიელ ჰაერშია გამოკიდებული თურმე...
 სულ ტყუილი ყოფილა შენი ძალისხმევა!
 ფიქრი –
 გაუხედნავი კვიცი,
 ისევ აწყდება აქეთ-იქით...
 ვიცი –
 ხან უსასოობის ხრამს გადაახტება,
 და ხდება –
 ზოგჯერ იმედის ხიდზე წაიფორხილებს...
 ხანაც –
 აიყრის პირობითობის ბორკილებს,
 სინარულის გუნდად დაგორდება
 და მერე –
 აღმაფრენის მწვერვალზე ავარდება,
 მერე –
 სიძულვილის ცეცხლით ვარვარდება,
 ხან –
 სიყვარულის მდინარეში ატივტივდება,
 დატრიალდება
 და
 თავბრუ-დახვე-ული,
 გარშემო ველარაფერს ამჩნევს –
 ფერად-ფერადი ლამაზი ბუშტების გარდა,
 საყვარელი სახეების გარდა,
 ყვავილების
 და
 ვარსკვლავების გარდა...
 და,
 ბოლოს,
 დაეშვება ფარდა –
 ფიქრი წამიერად
 ერთ წერტილში თავმოიყრება,
 აფეთქდება,
 ჩაქრება –
 გაქრება...
 თითქოს გამორთესო ტელევიზორი...
 გარბიან დღენი –
 სულსწრაფნი,
 მალნი,
 ჩასაფრებულნი,
 აღამიანზე მონადირენი.
 დიას, გამოცდილი მონადირენი ფრიად, –
 მათ ვერავინ გადაურჩება!
 ხან სინარულის ნაჭერს გადმოუგდებენ
 აღამიანს მისატყუებლად,
 ხან,
 გულგრილობით შენიღბულნი,
 განურჩევლობის ფარქვეშ
 მაღავენ მომაკვდინებელ ცელს –
 კარგად წამახულს, მჭრელს,
 სიბნელეშიც რომ კაშკაშად ელავს
 და
 ხდება ხოლმე –
 სამუდამოდ უშავებენ მზეს ზოგიერთს...
 ამ განწირულთა სიაში –
 დრო გიწევს და დღე მოვა
 (თუ ღამე – სულ ერთი არ არის?)
 და შენც აუცილებლად შეგიტანენ...
 ამით დასრულდება დღეთა ნადირობა,
 დიას, დასრულდება,
 მაგრამ მხოლოდ შენზე,

რადგან კვლავ მრავალნი რჩებიან
შენნაირნი,
რომელთა რიგიც
მოღის
ან
მოგა –
აუცილებლად...
უსასრულოდ გრძელდება
დღეთა ნადირობა ადამიანზე,
ადამიანზე – თოვლის ფიფქზე...

1988 წლის 20 ივლისი,
1990 წლის 20 თებერვალი.

წუთისოფელი

გაგახილვე თვალი ფრთხილად –
თეთრად ბოლავს ნისლის ფთილა...
და აფფრინდი კვიცზე ცქვიტად –
დილა.

შუბის ტარზე აელვარდა
შუქურა – მზე, რომ მიყვარდა...
შურდულივით მივქრით მარდად –
შუადღე.

შენეგლდა რბოლა საამო,
დაეშვი, ჩემო ალამო...
ნაცრისფერია გარემო –
სალამო.

ხმა აღარ აქვს დაღლილ ზარებს,
აღარც ნაპერწკალი – ნაღებს...
მაღე გავიხურავ კარებს –
ღამე...

ლექსები რომანიდან “ნიკო ფიროსმანაშვილი”

ჩანახატიდან “ფიროსმანის მონატრება”

1.

მირბის მდინარე,
ტრიალებს ჩარხი, –
ფუთფუთებს ხალხი
მხატვრის წინარე!

2.

ხელში – ყანწი,
აი – კაცი!
ხელში – სანთელი!
სულში – ნათელი!

3.

ახლო მოიწიე,

ყანწი აწიე –
 სადღეგრძელო შეგვაწიე!
 ქარვისფერი კახური –
 შეგვახურებს!
 ტფილისური
 თბილი პური –
 ლავაში,
 ჩავაწოთ
 საფერავში:
 ხსოვნა იყოს
 ხალასი
 ნიკალასი!

1998

* * *

ქარო, ნუ ქრი –
 დააყენე ეგ ფრთები,
 გულო, ნუ თრთი –
 დარდს ნუ ეჭმევენები!
 ნუ კანკალებ,
 ხელო, ასწიე ჯამი,
 დავაპკუროთ
 ჩვენი ჭმუნვა და ჯაგრი
 წმინდა საფლავს
 წვეთ-
 წვეთად...

2005 წლის 21 სექტემბერი,
 თბილისი.

შაირები რომანიდან “გულადი მაწანწალა” (1995 წ.)

ჭიდაობას რომ მიპირებ,
 მუხლი აგკანკალებია, –
 შენისთანა ბიჭბუჭები
 ბევრი მიჭანჭყარებია!

ეგრე რატომ შემაშინე,
 დამაკარვინე ფერიო,
 პილპილა სიტყვა ამოგცხო,
 იგლიჯო თმა და წვერიო!

ბიჭო, რას მეჭიდავები,
 ჭკუა სად დაგიტესია,
 თუ არ შემეშვი, მიგტყუავე,
 როგორც რიგი და წესია!

ბაღჩაშია გადვიხედე,
 დავინახე შენი დინგი,
 ყურებით რომ დაგიჭირე,
 ტყუპ-ტყუპადა ჰყარე ტლინკი!

ბიჭო, თუ არ დაჭკვიანდი,
გამომტყუებ კარგ სილაქსა,
ისე გაგიხდი საქმესა,
კბილებით სცრიდე სილასა!

ოჩან ჩოჩრით მიჩაქჩაქობ,
გგონია – ბედაურიო,
რა მაგარი მოღვექსე ხარ,
იცოდე, მომკლავს შურიო!

ბიჭო, თავი დამანებე,
ვეფხვთან რა გინდა კატასა,
შენ რომ ერთ შაირს მაღირსებ,
პასუხად გესერი ათასსა!

სამი სიტყვა გუშინ გითხარ,
სამიც დღესა – გახდა ექვსი.
შენთან ვერა გაფიდე რა,
ვერც შაირი, ვერცა ლექსი!

რამ გაგხადა კომშის ფერი,
ეგრე შენ რამ შეგაშინა?
ერთნაირად აღავლავდით,
მურა – გარეთ, შენ კი – შინა!

გაგჭირვებია, დათაო,
შენი შემყურე ტირისა.
შენს სიტყვა-პასუხს აქებენ,
როგორც რო ყროყინს ვირისა!

ჩემს მოქიშპეს შეგუკაზმე
კუზიანი, კოჭლი ტურა.
შევაჯინე, გააჭენა, –
ცხენი თუ ეგონა ურა,
შედმართში ვეღარ ივარგა,
თავდაღმართში გაახურა!

ბენაგო, ეს რა მოგსვლია:
მადანი გამოგელია,
ისე მოგიკუპრავ პირსა,
როგორც რო ცხვარსა მგელია!

ვირსა, ბიჭო, რით სჯობიხარ,
მე თუ მკითხავ, არაფრითა,
ორთავ გიყვართ ტლინკთა ყრაი
და ყროყინი დიდი ხმითა!

ღმერთმა შენთვის გაიმეტა
ცოტა ჭკუა, დიდი ყური.
ხიდისთავს შაირი გტყორცნე, –
მცხეთას მოგივიდა გული!

ლიახვი აღიდებულა,
მოაქანებს ტალღებსაო,
შენი ქეციანი თავი
არ გივარგა საღვექსაოდ!

ბაღჩაშია გადვიხედე,
დასდევდი ხარაბუზასა,
ტვინი როგორ გაგიწყალდა, –
ვერ არჩევ კარგს და ცუდასა!

ეგ შაირი ვინ გასწავლა,
ვინ მოგცა ხელში ფანდური,
ჩემისთანა მოლექსისგან
გეკუთვნის კარგი პანდური!

ყვაგო, ყვაგო, ყვანჩალო,
რათა ხარ მაჩანჩალო,
რა გაშაირებს, გეკუთვნის
პურის მაგივრად – ჩალო!

შენ ლექსის რა გაგეგება,
მაინც ამბობ, კარგი ვარო!
გიჯობს, თავი დამანებო,
თუ არ გინდა, ჩაისვარო!

ყველაფერი მიდი-მოდის,
ერთხელ კაციც დაბერდება.
შენს განვრეტილ გოგრაშია
ტვინი როგორ გაჩერდება!

საცრით წყალი გიზიდია,
ჭკვაზედ იყავი ავადა.
ნეტავი რა გელექსება –
საქმე მიგიდის შავადა!

შაირობა ვინ გასწავლა,
ვინ ჩადგა ცოდვაში ფეხი.
ჩემთან ქიშპობას გერჩივნოს
ფეხსალაგში სტუცო ფეხი!

აქამდე რომ დავლაგებდი,
თურმე ღვინო გწყურებია,
შენნაირი მეშაირე
ბევრი გამიცურებია.

შენს შაირზე მეცინება ძალიან,
შენ განაგრძე, მე კი არა მცალია!

ლექსები ზღაპრებიდან

ზღაპრიდან “ბედნიერი ფამფალეთი”

1.

პეი გიდი, ზღაპრებს ვყიდი!
მომისმინეთ, ნუ გაქვთ რიდი!
ერთი ზნე მჭირს საკვირველი:
თუ რამე მაქვს მე სათქმელი –
თითქოს ვიყო გიჟი-ხელი,
არ დამრჩება დაუფქველი!
ბოლოც არის საშინელი:
ყველამ გამოიღო ხელი –
ცემა-ტყეპა ხვავრიელი!
არსაით არის საშველი,
არვინ არის ჩემი მხსნელი!
ასჯერ მაინც დავთქვი შეგებით, –

სიმართლის თქმას შევეშვები!
 და ქორიდან ერთი ღერი
 სამახსოვროდ დავიძერი!
 და თითქოს ქორი მშვენი
 იყო ჩემი გადამჩენი...
 მაგრამ გამოსდება ხანი,
 ძველს ვერ ვიშლი მე, ღმერთმანი, –
 მახარე ვარ ისევ ძველი,
 მოქილიკე, მართლის მთქმელი –
 არა შევჯდა ხესა მწყერი,
 თუნდაც ასჯერ გაუწყერი!
 ისევ ვიძრობ თმის ახალ ღერს, –
 სიმართლის თქმა ძვირად მიღირს!
 მოლაქლაქვე, რას ველოდი?
 საბოლოოდ გავმელოტდი!

2.

გოდორთ გოდორავ, თქვენი დარბაზი
 ტაკიმასხრულად ყირას გადადის:
 ქვეყნის პამპულა, ცეტი, ჯამბაზი –
 ნაღდად ნადრობი ტვინი ათასი!
 ამ სასახლეში რაღას მიწვევდით?
 ნეტავ სად მოველ – თქვენთან სად მოვალ!
 მანჭვა-გრეხაში როგორ მოგწვედებით,
 გაჩუმებულიც იმიტომა ვარ!

3.

მათქმევინეთ კიდევ სიტყვა...
 ღმერთმა დაგაბერტყათ კალთა –
 ტურფა თაიგულის ხილვა
 აქ შეკრებილ შერეკილთა!
 მათთან ვჩანვარ მაჩანჩალა,
 დაჩაგრულად ვიგრძენ თავი!
 მეტი აღარ არის ძალა –
 გტოვებთ, კეთილად იყავით!..

4.

გუდასტვირო, თაფლზე ტკბილო,
 სხვებსაც უნდა გავუმხილო
 ერთი მცირე საიდუმლო,
 ვინძლო დიდად არ გაგეკილონ:
 ჩვენ საქმე გვაქვს სასახელო –
 გავიტანოთ უნდა ლელო;
 შენი ჰანგით, ჩემი სიტყვით
 ძარღვის გაწყვეტამდე ვიბრძვით,
 ბოროტება რომ გავთელოთ
 და სიცილით გამოვცელოთ,
 ვისაც დაუპარგავს რიდი –
 მოძალადე, ხარბი, ფლიდი!
 რომ მეძახით მუქთახორას,
 მე ტანჯულის ქუდი მსურავს!
 წაიმძვარო წინ კეთილი,
 სცადეთ, თუ არის ადვილი!

5.

თურმე მე რომ დავიბადე,
 მთლად არ ვიქენ განაწირი, –
 გუდასტვირიც თან რომ დამყვა,
 საქმე იყო გასაკვირი!
 იმის შემდეგ ამეკიდა,
 არ მცილდება როგორც ჭირი,

ხან – ცეცია, ხან – ჭკვიანი,
 ხან – იცინის, ხანაც – ტირის.
 ავად ვარ – წამალია,
 ლხინშიც ერთად გვიდგას ძირი,
 როცა მცევა – ბუნარია,
 როცა მცხელა – სიო გრილი,
 უდაბნოში წყარო არის
 ჩემი კოხტა გუდასტვირი.
 ახლაც ღმერთი არ გაგვწირავს,
 ერთად გამარჯვებით ვივლით!

6.

ოდელია-დეღია, ეს ღამე რა ბნელია,
 ბნელია და გრძელია, ძნელი გასაგლეღია;
 ადვილად სათქმელია, ქვეყანა რომ ჭრელია,
 იქნებ სხვაგან გველიან, დავლაშქროთ მთა-ვეღია!

7.

დილით – ტორტი, შუადღეს – ტორტი,
 საღამოს მოგეცეს ლხენა!
 დიდი ტორტით პირს მიგლესენ:
 “ტუნებზეც წაისვი ენა!”,
 პირი დიდზე დააღეო,
 არ გაივლო გულში წყენა,
 ტორტთქველეთა მივატოვე,
 არ დამჭირდა დიდი ხვეწნა!

8.

აბა, გოგნი-გოგნი-გოგნი,
 იყოს ყველას გასაგონი! –
 ყენი რომ მობრძანდება,
 აუტყდება მუცლის გვრემა!
 გზა უტიეთ ნება-ნება,
 თუ არ მოგენატრათ ცემა!
 რა ცხვარივით მომაჩერდი –
 გეფხანება ნაღდად ფერდი!
 განზე მიდექ, საყვარელო,
 ვინძლო სახრით აგაჭრელო!
 გოჭივით გაჭყვირებ მაღე,
 სახრეა შენი წამალი!
 უპატრონო ინდაურო,
 კანჭი უნდა გაგისურო!
 დაგიღია ფართედ ხახა,
 ვინ ყოფილა ეს ღვთის გლახა!
 აბა – იქით, აბა – აქეთ,
 გზა მოგვეცი, ვირო, ზაქო!
 გაიწიე იქით, ღორო,
 თუ არ გინდა, გაგაგორო!
 დაჩერჩეტობ ბატივითა,
 თავს გაგიხეთქ კვახივითა!
 მიდი-მოდი, მიდი-მოდი,
 მოგცხებ, აღარც გეტყვი ბოდიშს!
 არ გქონია ჩემი ხათრი,
 აგაცეკვეო უნდა სახრით!
 რაღა ახლა ითვლი ბუზებს,
 ნახე, შუბლში თუ არ გდრუზე!
 თუ არ შეიცვალე ნირი,
 დაგინაყო უნდა ცხვირი!
 გაფუჟულო, აბა, ჩქარა,
 გზა უტიე, მეტიჩარავ!

გაბერილო, აბა, მალე,
ყვენს გზიდან გაეცალე!
ხელავ, ყვენს ახრჩობს ბრაზი,
მიღეჭ, სანამ ხარ ლამაზი!

9.

ერთი-ორი! ერთი-ორი!
აბა, ერთად!
თხაბერიკავ, რქით ერჩოლე, –
გეყო წვერების ცანცარი!
ღორბერიკავ, დინგით ჩქარა!
ყოჩივით ხომ ხარ, ყაჩაღო!
აბა, ბიჭებო, ყოჩაღად!
კურდღელო, ნუ იჯგიმები,
რა აგიტყდა ყურქვეშ ფხანა!
ძაღბბერიკავ, კბილი გაჰკარ!
მელავ, კუდს ნუ ათამაშებ!
მგელო, კბილს ნუ აკრაჭუნებ!
დათვბერიკავ, იღრიალე!
ყველამ ერთად შემოვძახოთ,
ნეტავ ღიპი დაგძრათ მალე!

10.

ხალხო, დღეს ამდენი ცეტი
ერთად ნეტავ რამ შეგყარათ?
თუ ყველას დაგესხათ რეტი –
ფეხზე ვეღარ დგახართ მყარად?
შლეგიანივით დახტიხართ
და მაღაყებს გადადიხართ,
გამაყრუებლად ხარხარებთ
და სიცილის ღმერთს ახარებთ!
ვეღარავის ვეღარა გცნობთ,
იკვანწებით, ლაღობთ, ანცობთ!
და იმას კი არად აგდებთ,
ამით ყვენს რომ აბრაზებთ!
იცოდეთ, იგი ვერ აიტანს
ქირქილ-ხორხოცს და სხვას მისთანს!
ვინც იქცევა საძრახისად,
ყვენი სჯის საკადრისად!

11.

აბა, ჩემო კეთილებო,
აბა, ჩემო ლამაზებო!
ჯიბეს გაიკარით ხელი,
თქვენგან შესაწირავს ველი –
მოწყალე გულით მოძღვნილსა
ტკბილეულსა, ღვინოს, ხილსა,
თაფლსა, კაკალსა და თხილსა,
ერბო-კარაქსა და ყველსა –
ყველაფერსა უშურველსა!
კეთილ საქმეს მოვახმართ,
ავადმყოფებს წამლად ვარგოთ,
დავრდომილებს – ყავარჯენად,
მშივრებსაც მიეცეთ ლხენა!
არ გამოგვრჩეს ჩვენი თავიცი:
რაც დაგვრჩება სასუნნავი,
მდინარისპირს დავაძღვროთ,
ავირჩიოთ კარგი ჩერო!

12.

დიმიტრაური-დამპიტაური,

სიმატლეს გეტყვი – მომეც შაური!
 ყვენო, ცოდვა გწყურია განა –
 თავისუფლება მისცე ქვეყანას?
 წარმოიდგინე საშინელება:
 ყველა – თავგერძი, ყველა – თავნება!
 ყველა საკუთარ ბედის პატრონი,
 ყველა – დიდგულა, ყველა – ბატონი!
 გადაწყვებიან კერძთა კეთებას:
 ერთი ღობიოთ გაიბერება,
 მეორე – მწვადით დაითუთქავს პირს,
 ეს არჩევს ნამცხვარს, ის კი – ხაჭაპურს,
 ამას სურს ტოლმა, იმას კი ხარჩო!
 ეჰ, ლამის არის ნერწყვემა დაგახრჩოს!
 სჯობს, უპატრონო ხალხსა გულადად,
 ძველებურადა, ჩვენებურადა!
 ხალხი თავნება, დიდი ბავშვია,
 კარგადაც ვიცი, ახლა რაც შია!
 შია სილაქი, ზედაც ჭიტლაყი,
 არ უნდა ამას ყიყინ-ლაქლაქი!
 დიდი ხანია, მობეზრდათ ტორტი?
 გავაძლოთ სახრით, იგემონ შოლტი!

13.

ვაი-გუი, ვაი-გუი!
 სიმწრისაგან ლამის ვყმუით!
 დავივსეთ და დავიღუპეთ –
 ამომშრალა თურმე წუმპე!
 ახლა რაღა გვეშველება –
 მზე ხარობს ცეცხლისთვალეება!
 ლამის დაგვაჭრეს ხელები –
 გადაშენდნენ წურბელები!
 ერთთავად ვართ დაზაფრული –
 ვინ წაგვართვას აწი ფული!
 წამივიდეს ლამის გული –
 ნუთუ დადგა გაზაფხული?!

14.

ერთი რამე დამიჯერე,
 გვედრები, მუხლმოყრილი, –
 საჩუქარი შეიფერე
 და შეირგე ტკბილი ძილი:
 ჭინვინიას მოაჯექი
 სიზმრად, მხოლოდ ოცნებაში –
 ნეკნებს სახრით დაგიტოვლიან,
 არ არის საშენო რაში!

15.

დიდბერიკავ, ჰერი, ჰერი!
 მოახსენე ხალხს სიმღერით,
 სიკვდილს როგორ გადაურჩი,
 როს გიჟმაჟა იყო ურჩი.
 ერთხელ სრულიად შემთხვევით,
 ალბათ განგების შეწვევით,
 გიჟმაჟა მეფის რემაში
 გაერია ძოვით მაშინ.
 გაანჩხლდა ტუტუცი მეხრე,
 მომიღერა ბრაზით სახრე,
 ცოფიანი დორბლი ჰყარა
 მთელი ქვეყანა შეჰყარა!
 “როგორ გაბედე, ჯაგლაგმა,
 ვილაც მათხოვრის ულაყმა –

ჩემს ცხენებთან ძოვოს გვერდით,
 უნდა გაწყვევლინო ბედი!"
 რა თქმა უნდა, დამიჭირეს,
 ზურგს შოლტი გადამიჭირეს,
 მერე ესეც არ მაკმარეს,
 ერთი კვირით ამიკრძალებს
 ყოველგვარი ტორტის ჭამა –
 ეს კი ჩემთვის იყო დრამა!
 ღმერთს მადლობა მოვახსენე –
 რაც მე მაშინ დავისვენე!

16.

ამ ტორტებისგან გამწყდარი ხალხი,
 თანაგრძობობისა ღირსია განა?
 ძალად კვდებიან, აღვსილნი ზრახვით –
 ლაფით მოთხვარონ ჩვენი ქვეყანა!

17.

ყველგან დაწანწალებს, ნამუსგარეცხილი,
 ყველას უბოდიშოდ ეჩხირება თვალში.
 მისგან ეს ქვეყანა ტირის თვალდათხრილი,
 თვითონ, კმაყოფილი, ლაღობს მთა და ბარში.

18.

თვალდავისილო, მომჩვარულო,
 როგორ გიდგას ტანში სული?
 არ გიშველს არაფერი,
 გინაც მამაზეცერი
 ჩამოვიდეს ციდან ქვევით
 და, ღვთიურ ძალის შეწევნით,
 შენ განჯდრიოს უმოწყალოდ –
 პურს გერა ჭამ, სამართალო!

19.

რა კარგი არის სიმართლე –
 ბნელზე იბახის სინათლეს!
 სიმდიდრე მასთან ნეტარებს
 და მრუდე გზებით ატარებს!

20.

ფული და სიბრძნე ერთია,
 ერთია სიბრძნე და ფული!
 სავსე ქისა რომ ღმერთია,
 უფულო კაცია ნული!

21.

გაუმარჯოს დაპირებას,
 ლამაზი ბუშტია საპნის!
 სიტყვას – არ აქვს ნაპირები,
 მოთმინებას გვაჩვენებს – საქმით!

22.

ჭამის ტომარა, დიდად ქებული
 და გემრიელად ჩაგოდრებული!
 როგორ უხდება ბევრი ორდენი
 შოკოლადისა! თანაც – რამდენი!
 ორდენტ სიმძიმე რად არ აღონებს?
 მიტომ, რომ მათით მუცელს აღორებს!
 თუნდ დღეში ასი ორდენი მისცენ,
 გაუჭირვებლად შესანსლაგს – მყისვე!

23.

არ უნდა ხაზი და ლარი –
ნავსია ყველა გამხდარი!
ბრძანებას ვასრულებ ხელად,
თუნდ გავხდები სპილოს ხელა!

24.

მეც რომ არ ვიცი, ვინა ვარ?
მაჩანჩალასთან – წინა ვარ!
ქონდრისკაცთან – ახმახი ვარ,
კარგი საქმის ჩახმახი ვარ!
მამაძაღლისთვის ვარ მახე,
არ მიყვარს ტყვილად ტრაბახი!
ზოგჯერ მართლის თქმასაც ვბედავ,
სულ ესა ვარ, რასაც მხედავ!

25.

გამარჯობა, ჩემო ცხვირო,
სანაქებოდ გამოზრდილო!
რამ გაგიტყუა სიგრძეში,
მეც გამანდე, მომეც გეში, –
შემომხედე კაცს დაგვაღულს,
ბაჯაჯღუნას, კრუხის პალოს!
წამალს ზრდისა მაზიარე,
შენ დამიამებ იარებს...
სანაცვლოდ კი, ჩემო კარგო,
ამაგს შენ არ დაგიკარგავ!
გულის ფანცქალით ხსნას ველი,
თანახმა ხარ? დაჰკა ხელი!

26.

ქატო ვნახე, ფქვილი ვერა,
ამიტომ შევწყვიტე წერა...
ქატო – იქა, ფქვილი – აქა,
ჯადო – იქა, ჩიტი – აქა.
ჩიტი ჩვენთან მოფრინდება,
ახალ ზღაპარს დაგვირდება...

1972

“იტალიური ზღაპრიდან”

1.

დროსტარების ჩვენ ვართ მონა,
ლხინი ღმერთმა მოიგონა!

2.

ამქვეყნად ხომ რა არ ხდება, –
ყველაფერს გონი გასწვდება?

3.

კარლო გოცი გახლავთ ერთი,
მეორე – კარლო გოლდონი;
ორივეს გაუწყრა ღმერთი, –
დაიწვას მტრობის მომგონი!

4.

როცა წინ გზა გიდევს გრძელი, –
დროზე ადექ, რაღას ელი!..

5.

მოდო, უყურე –
 ნაპოლის ყურე!
 ტკბილი სიმღერა
 და გულის ძგერა!

6.

გადავეშვათ წყალში მარდად, –
 გადვიქცევით წამში ბაღდად!

7.

სიბერე ვინ მოიგონა, –
 არ ჰქონია საღი გონი!

8.

მაღე მოგბეზრდება ამოჩემებული, –
 გინდაც ლამაზი და დიდად ქებული!

9.

მოქიშპეთა შერიგება –
 ჭეშმარიტად არის შვება!

10.

გვართ ხარ წარჩინებული? –
 იყავ სხვა მხრივაც ქებული!

11.

ვარ ლამაზი,
 თანაც ნაზი,
 როგორც შეგელი, –
 ჩემთან მოვა
 ვინც პირველი,
 მას ერგება
 კოცნა მწველი!

12.

შორს განდევნე ბოღმა, –
 საქმე წავა წაღმა!

13.

ბებერი ვარ –
 და ბრძენი ვარ!

14.

ვენეციას ვზომაგ მზერით, –
 მაგიწყდება ყველაფერი!

15.

ამ ბაგირზე ვისეირნოთ, –
 საქმე არის სასეირო!

16.

მოთმინება – განძია, –
 მრავალ მიზანს მაწია!

17.

მოგესალმები, ზღვაო, –
 რა შეგედრება სხვაო!

18.

უცხო ქვეყნის ძღვევამოსილ დამხობას,
მირჩევნია ერთი კარგი ხუმრობა!

19.

გუადალკვივირი, გუადალკვივირი, –
მიხტის, მიჭენაობს, მხიარულად ყვირის!

20.

გინდა, იპყრო ზღვა და ხმელი? –
გაანძრიო უნდა ხელი!

21.

ქალები – ტურფა ყვავილებია,
ქვეყნიერება – წარმტაცი მდელო!
რომ არ გიმღეროთ, არ შემიძლია,
ლამაზმანებო, გულისა მკვლელო!

22.

ორი კამპანილე,
კოხტად დავაწყვილეთ!
მეტი რაღა გვინდა?
წანწალი მოგვწყინდა, –
გვეყო, რაც გვაწვალე!
ოლე!

23.

ზღაპარში კი არა, ცხადში –
ორი კარლოს კარადაში
ერთად ყოფნა მეგობრულად
გაგრძელებს უსასრულოდ...
ტაში, ტაში!..

1999

ლექსები “ღუმელის ზღაპრიდან“

1.

მიყვარს ყველა
გრძნობით წრფელით –
მუსა, რცხილა
და წიფელი!
მე, ღუმელი,
ტრფობით მწველით
გხრუკავ ალით,
მოუთმენლით:
ცაცხვს და თელას –
ველი, ველი!

2.

სურათია საკვირველი:
დაივიწყეს მტრობა ბველი,
უცებ დადგა რიგი გრძელი –
მელი,
მგელი,
ირემ-შველი,
ხელიკი,
გველი,
ბზიკი,
კელი,
დათვი ბელით

და კურდღელი,
 მოლალური-მწიფობელი,
 ტოროლა და ყურყუმელი,
 კოდალა და ჩხართვი ჭრელი –
 ყველამ გამოიღო ხელი,
 სტუმარია სასურველი;
 ყველას უნდა ფაფით ცხელით,
 სასწაულად გემრიელით
 ჩაიკოკლოზინოს ყელი!..

1998

ლექსები “ცისარტყელას ზღაპრიდან “

1.

თვალის გამხარებელი,
 ცის შვიდფერი სარტყელი!

2.

ხარბს რომ დაუღია პირი,
 როგორ არ ვთქვა მასზე ძვირი!
 დიდზე დაუღია ხახა,
 არ შეერგო – ყველამ ნახა!..
 გაუმარჯოს ცისარტყელას, –
 ასაჩუქრებს იგი ყველას!..

2000

ლექსი “მხიარული ნეკას ზღაპრიდან “

ძიძგილაო, ძიძგილაო,
 თვით გაიწანი სილაო:
 სხვას რომ გაუთხარე ხარო,
 როგორ გინდა გაიხარო?
 ხოხორიკავ, ხოხორიკავ,
 დაიხსომე ძველი წესი:
 თუ სულელის რჩევას აჰყევ,
 ხარ სულელზე უარესი!

1998